პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
20 სექტემბერი
1939 წ.
№ 219 (5616)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია-საბჭოთა კავშირის 18 სექტემბრის კომუნიკე

**პოლონეთში მომქმედი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ჯარების ამოცანების შესახებ ყოველგვარი დაუსაბუთებელი ხმების თავიდან ასაცილებლად სსრ კავშირის მთავრობა და გერმანიის მთავრობა აცხადებენ, რომ ამ ჯარების მოქმედება არ ისახავს რაიმე ისეთ მიზანს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ინტერესებს და გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტის აზრსა და სიტყვას. პირიქით, ამ ჯარების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღადგინონ პოლონეთში წესრიგი და მშვიდობა, რაც დარღვეულია პოლონეთის სახელმწიფოს დაშლით, და დაეხმარონ პოლონეთის მოსახლეობას მისი სახელმწიფოებრივი არსებობის პირობების გარდაქმნაში.**

(საკდესი).

## მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობები

### 18 სექტემბერი

18 სექტემბრის განმავლობაში წითელი არმიის ჯარები განაგრძობდნენ პოლონეთის არმიის ნაწილების უკუქცევას და საღამოს დაიკავეს:

ჩრდილოეთით — დასავლეთ ბელორუსიაში — ქალ. **სვენციანი**, რკინიგზის კვანძი **ლიდა**, ქალ. **ნოვოგრუდოკი**, დაბა **ორლია** (მდინარე ნემანზე), ქალაქები: **სლონიმი**, **ვოლკოვისკი** და რკინიგზის სადგური **იაგლევიჩი** (მინსკ-ბრესტ-ლიტოვსკის რკინიგზის ხაზზე).

სამხრეთით — დასავლეთ უკრაინაში — რკინიგზის კვანძი **სარნი**, ქალაქები: **ლუცკი**, **სტანისლავოვი**, **გალიჩი**, **კრასნე**, **ბუჩაჩი**.

წითელი არმიის მეწინავე კოლონები ქალ. **ლვოვსა** და **ვილნოს** უახლოვდებიან.

### 19 სექტემბერი

19 სექტემბრის განმავლობაში წითელი არმიის ნაწილები განაგრძობდნენ პოლონეთის ჯარის შევიწროებას და დღის ბოლოს დაიკავეს:

ჩრდილოეთით — დასავლეთ ბელორუსიაში ორი საათის ბრძოლის შემდეგ — ქალ. **ვილნო**, დაბა **ვ. ბერესტოვიცა** (50 კილომეტრზე ბელოსტოკის აღმოსავლეთით), ქალ. **პრუჟანი**, ქალ. **კობრინი** (40 კილომეტრზე ბრესტ - ლიტოვსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით).

სამხრეთით—დასავლეთ უკრაინაში ქალ. **ვლადიმირ - ვოლინსკი**, **სოკალი**, (მდ. ბუგზე), **ბროდი**, **ბობრკა**, **როგატინი**, **დოლინა**. ცხენოსანთა და სატანკო ნაწილები შევიდნენ ქალ. **ლვოვის** ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ განაპირა უბნებში.

# ისტორიული გადაწყვეტილება

17 სექტემბერს სახელოვანი წითელი არმიის ჯარები საბჭოთა მთავრობის განკარგულებით გადავიდნენ საზღვარზე, რათა დაიცვან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის სიცოცხლე და ქონება. მთელი საბჭოთა ხალხის აზრი და გრძნობა დიდად საყვარელ, მშობლიურ, უძლეველ წითელ არმიასთანაა. სახელოვანი მებრძოლები სამხედრო საგმირო საქმეებზე მიდიან ლენინ-სტალინის გმირული დროშებით, ეყრდნობიან რა მთელი საბჭოთა ქვეყნის ძალასა და ძლიერებას. ჩვენი ქვეყანა თავის მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს უთვლის მათ. იგი ამაყობს თავისი შვილებით, რომელნიც ასრულებენ მაღალ, წმინდა მოვალეობას: იცავენ თვისტომ ძმებს — უკრაინელებსა და ბელორუსებს, რომელნიც დიდხანს იტანჯებოდნენ პოლონელი პანების მძიმე ტყვეობაში.

მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ულრმესი ყურადღებით ისმენდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის რადიოთი წარმოთქმულ სიტყვას. ამ შესანიშნავ სიტყვაში, სსრ კავშირის მთავრობის ნოტაში, რომელიც გადაეცა პოლონეთის მოსკოველ ელჩს, აღნიშნულია საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებანი, რომელთა გამო საბჭოთა მთავრობამ განკარგულება მისცა წითელი არმიის მთავარსარდლობას გასცეს ბრძანება ჯარებისადმი — გადავიდნენ საზღვარზე.

„პოლონეთ-გერმანიის ომმა ცხადჰყო პოლონეთის სახელმწიფოს შინაგანი უმწეობა. საომარი ოპერაციების ათი დღის განმავლობაში პოლონეთმა დაჰკარგა ყველა თავისი სამრეწველო რაიონი და კულტურული ცენტრი. ვარშავა, როგორც პოლონეთის დედაქალაქი, აღარ არსებობს. პოლონეთის მთავრობა დაიშალა და სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ იჩენს. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთის სახელმწიფო და მისი მთავრობა ფაქტიურად აღარ არსებობენ. ამით შესწყდა იმ ხელშეკრულებათა მოქმედება, რომლებიც დადებული იყო სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის" — აღნიშნულია სსრ კავშირის მთავრობის ნოტაში, რომელიც პოლონეთის მოსკოველ ელჩს გადაეცა.

ნაკუწებისაგან შემდგარმა პოლონეთის სახელმწიფომ, რომელიც აგებული იყო ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრასა და ძარცვაზე, ცხადჰყო, რომ მას სიცოცხლის არავითარი უნარი არ გააჩნია, ცხადჰყო თავისი შინაგანი უმწეობა და დაინგრა, როგორც ხუხულა. პოლონეთის მმართველი წრეები უაღრესად მოკლე ხანში გაკოტრდნენ. პოლონეთის უბადრუკი მთავრობა გაიქცა და ბედის ანაბარა მიატოვა ხალხი. არმიას არ ჰქონია არცერთი ოპერატიული წარმატება. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ძალდატანებით შეგროვებულია ეროვნულ უმცირესობათაგან, რომელთაც სძაგთ პანების პოლონეთი — ხალხთა საპყრობილე. ცხადია, რომ ასეთ არმიას არ შეუძლია წარმატებით იომოს.

პოლონეთში შექმნილმა მდგომარეობამ, პოლონეთის სახელმწიფოს დაშლამ, პოლონეთში გამეფებულმა ანარქიამ და არევ-დარევამ პოლონეთი გადააქცია ხელსაყრელ ასპარეზად ყოველგვარი შემთხვევითობისა და მოულოდნელობისათვის, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სსრ კავშირს. აღნიშნულ გარემოებათა გამო, საბჭოთა მთავრობას აღარ შეეძლო ნეიტრალურად მოჰკიდებოდა შექმნილ მდგომარეობას. საბჭოთა მთავრობას აღარ შეეძლო აგრეთვე გულგრილად მოჰყრობოდა თვისტომი უკრაინელებისა და ბელორუსების ბედს, რომლებიც პოლონეთში ცხოვრობენ, არ შეეძლო დაუცველი დაეტოვებინა ისინი.

„საბჭოთა მთავრობას თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია დახმარების ხელი გაუწოდოს თავის ძმებს — უკრაინელებს და ძმებს—ბელორუსებს, რომელნიც პოლონეთში მოსახლეობენ". ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ეს ამაღლებელი სიტყვები ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას. მათ ყველგან უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვიეს. ყველა აინთო ბრძოლისა და გამარჯვების ენტუზიაზმით. ეს სიტყვები განმეორებულ იქნა მიტინგებისა და კრებების ათასობით რეზოლუციაში. ამ სიტყვებს ამბობენ ერთმანეთთან შეხვედრისას საბჭოთა მოქალაქენი.

გუშინ გამოქვეყნდა ცნობა პოლონეთის მთავრობის რუმინეთში გაქცევის შესახებ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს პოლონეთის მთავრობის სრული დაშლის ფაქტს. ყველგან დასავლეთ ბელორუსიაში და დასავლეთ უკრაინაში საბჭოთა ჯარი სწრაფად მიიწევს წინ ისე, რომ არ ხვდება რამდენადმე სერიოზულ წინააღმდეგობას. ესეც კიდევ ერთხელ მოწმობს პოლონეთის სახელმწიფოს, პოლონეთის არმიის სრულს დაშლასა და გახრწნას.

აღტაცებით და ზეიმით ხვდებიან ჩვენი ძმები — დასავლეთის უკრაინელები და ბელორუსები მამაც წითელ არმიას, რომელიც მათ ანთავისუფლებს ნაციონალური ჩაგვრისაგან, პოლონელი პანების — მემამულეების ულისაგან. სიხარულის ცრემლებით ეხვევიან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი მეთაურებსა და წითელარმიელებს, ამაღლვებელ მზრუნველობას იჩენენ წითელი არმიისათვის. მცხოვრებლები სადღესასწაულოდ მორთულნი გამოდიან შესახვედრად, მოაქვთ ყვავილები, ვაშლით, რძით უმასპინძლდებიან მეომრებს.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მცხოვრებნი წითელ არმიას ეგებებიან როგორც განმანთავისუფლებელ არმიას, როგორც არმიას მოძმე ხალხისას, რომელსაც სურს დაეხმაროს მათ იცხოვრონ ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრებით. დასავლეთ უკრაინელ და დასავლეთ ბელორუს ძმებისადმი სიყვარულის ტალღა კვალდაკვალ მიჰყვება ჩვენს წითელ არმიას. ეს სიყვარული ფრთებს ასხამს ჩვენს მეომრებს. ამ მეგობრობასა და სიყვარულს იგრძნობს თვითეული უკრაინელი, თვითეული ბელორუსი ღარიბ, პანების მიერ გაჩანაგებულ ქოხებში პოლონეთის ყოფილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მშვიდი და დიდებული ძლიერებით ასრულებს საბჭოთა ქვეყანა თავის წმინდა ამოცანას. ისე როგორც ერთი კაცი, იგი უდიდესი სიმძლავრით გამოეხმაურა საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვას.

ურღვევია მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობა თავის მთავრობასთან, თავის მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიასთან, თავის დიდ ბელად ამხანაგ სტალინთან.

საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდეს ყველა ქვეყანასთან. საბჭოთა მთავრობამ ყველას გასაგონად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ატარებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ყველა ქვეყნის მიმართ, რომელთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს. მშვიდობიანობის ინტერესებისათვის დადებულ იქნა პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის. გერმანია — საბჭოთა კავშირის 18 სექტემბრის კომუნიკე გვიჩვენებს, რომ თავდაუსხმელობის პაქტი მოქმედებაშია. სსრ კავშირის მთავრობა და გერმანიის მთავრობა აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ჯარების მოქმედება „არ ისახავს რამე ისეთ მიზანს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს გერმანიის ან საბჭოთა კავშირის ინტერესებს და გერმანიისა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტის აზრსა და სიტყვას. პირიქით,— ნათქვამია კომუნიკეში, — ამ ჯარების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღადგინონ პოლონეთში წესრიგი და მშვიდობიანობა, რაც დარღვეულია პოლონეთის სახელმწიფოს დაშლით, და დაეხმარონ პოლონეთის მოსახლეობას მისი სახელმწიფოებრივი არსებობის პირობების გარდაქმნაში".

დიდმა პატრიოტულმა აღფრთოვანებამ მოიცვა ჩვენი ქვეყანა. ამაღლვებელი სიტყვები გაისმის მიტინგებზე. ამ სიტყვებში, მიტინგების რეზოლუციებში სავსებით იწონებენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულს საგარეო პოლიტიკას და აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი თავიანთი ძალა მოახმარონ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას.

კიროვის ქარხნის (ლენინგრადი) მუშები და მოსამსახურეები 18-ათასიანი მიტინგის რეზოლუციაში ამბობენ:

„მთავრობის გადაწყვეტილება წითელი არმიის ნაწილების მიერ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის დაკავების შესახებ გამოხატავს მთელი 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილს... იწონებს რა ჩვენი მთავრობის პოლიტიკას, კიროველთა კოლექტივი სიტყვას აძლევს პარტიას, მთავრობას და ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენ მთელს ძალასა და ენერგიას მოვახმართ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, პროდუქციის გამოშვების ზრდას ჩვენი საყვარელი სამშობლოს სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად".

ქარხანა „უკრკაბელის" მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მიმართავენ თვისტომ ხალხებს:

„ჩვენ თქვენთანა ვართ, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ძვირფასო ძმებო! ჩვენ არ დავრჩებით გულგრილნი თქვენი ბედის მიმართ. მზადა ვართ ჩვენი საბჭოთა მთავრობის, ჩვენი პარტიის, მშობლიური სტალინის პირველ დაძახებისთანავე ჩავდგეთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში და დავეხმაროთ პოლონელი პანების განადგურებაში და ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების საქმეში".

ჩვენი წითელი არმია ღირსეულად ასრულებს თავის ვალს. იგი ახალ გამარჯვებებს მიუმატებს იმ სახელოვან გამარჯვებებს, რომლებიც აღბეჭდილია საბჭოთა ქვეყნის გმირულ ისტორიაში. დაე ღირსეულად შეასრულოს თავისი ვალი თვითეულმა მოქალაქემ თავის პოსტზე — დაზგასთან ქარხანაში, გუთანთან საკოლმეურნეო მინდვრებში, დაწესებულებებში, დახლთან, კათედრაზე, ლაბორატორიაში. თვითეული სამუშაო პოსტი ჩვენს ქვეყანაში საბრძოლო პოსტია.

„საბჭოთა კავშირის ხალხები, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე — მამაკაცი და ქალი, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლნი, ისე როგორც არასოდეს, მჭიდროდ არიან დარაზმულნი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავისი დიდი ბელადის გარშემო, ბრძენი ამხანაგი სტალინის გარშემო, შრომის ახალი და ჯერ კიდევ არნახული წარმატებებისათვის მრეწველობაში და კოლმეურნეობებში, წითელი არმიის ახალ სახელოვან გამარჯვებათათვის საბრძოლო ფრონტებზე". (მოლოტოვი).

**„პრავდის" მოწინავე, 19/IX.**

## უკანასკნელი ცნობები

### საომარი მოქმედება პოლონეთის ფრონტზე

**ბერლინი,** 19 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ოპერატიული ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

პოლონეთის არმიის დაქსაქსული ან გარშემორტყმული ნაშთების ლიკვიდაცია და კაპიტულაცია დასასრულს უახლოვდება. მდინარე ბზურისა და ვისლის (პოლონეთის ცენტრში) რაიონში ბრძოლა დამთავრებულია. გერმანიის ჯარმა ამასთან ტყვედ წამოიყვანა 50.000 კაცი და ხელთ იგდო დიდძალი საომარი საჭურველი.

პოლონეთის სამხრეთ ნაწილში, ლვოვის ჩრდილო-დასავლეთით, განადგურებულია პოლონეთის ჯარის მცირე ნაწილი, რომელიც წინააღმდეგობას გვიწევდა. ტყვედ წამოყვანილია 10.000 პოლონელი ჯარისკაცი.

ვარშავის რაიონში მას შემდეგ, რაც პოლონეთის პარლამენტიორმა უარი სთქვა გამოცხადებულიყო მოსალაპარაკებლად გერმანიის სარდლობასთან, განახლდა საომარი მოქმედება.

გერმანიის ავიაცია 18 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ცალკეულ თავდასხმებს ახდენდა. ავიაციის შემდგომი გამოყენება პოლონეთის ფრონტზე საჭირო აღარ არის.

20 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 8) იხსნება **რესპუბლიკური თათბირი პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე.**

**დღის წესრიგი:**

1. „საკ. კ. პ.(ბ) ისტორიის მოკლე კურსის „გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენებაზე" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების რეალიზაციის შესახებ.
2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით ბოლშევიკური აგიტაციის დაყენების შესახებ.

თათბირზე ნოწვეული არიან საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეები, პარტკაბინეტების გამგეები და შტატის ლექტორები, უმაღლესი სასწავლებლების მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრათა გამგეები და ლექტორები და პროპაგანდისტთა აქტივი.

**საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება**

### „ჰელსინგინ სანომატი" პოლონეთში წითელი არმიის წინსვლის შესახებ

**ჰელსინკი,** 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც „ჰელსინგინ სანომატის" კორესპონდენტი პოლონეთიდან იუწყება, წითელ არმიას პოლონეთის სამხრეთ რაიონებში არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ. პოლონელები არც კი ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა ჯარის წინსვლა. კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ პოლონეთის ჯარს ზალეშჩიკის რაიონში სულ არა ჰყავს ხელმძღვანელობა. მრავალი პოლონელი ოფიცერი რუმინეთს გაიქცა.

### დალადიე საომარი მოქმედების რაიონში იყო

**პარიზი,** 18 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 17 სექტემბერს 13 საათსა და 30 წუთზე დალადიე გაემგზავრა ფრონტზე საარის რაიონში. იმავე დღის 20 საათზე იგი პარიზს დაბრუნდა.

### პოლონეთის ჯარი ლიტვის ტერიტორიაზე გადავიდა

**კაუნასი,** 19 სექტემბერი (საკდესი). წუხელ ლიტვის დაბა შირპინტოსის რაიონში ლიტვის საზღვარზე გადავიდა 5.000-ზე მეტი პოლონელი ჯარისკაცი. ყველა ეს ჯარისკაცი განიარაღებული და ინტერნირებულია. ლიტვაში ჩავიდა აგრეთვე პოლონეთის 200 ავტომობილი.

# დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა აღტაცებით ეგებება სახელოვან წითელ არმიას

## ამაღლებელი შეხვედრები

**მინსკი,** 18 სექტემბერი („პრავდის" სპეც. კორ.). გუშინ წითელი რაკეტის სიგნალზე, ზუსტად იმ ვადაზე, რომელიც დადგენილი იყო სარდლობის მიერ, წითელი არმიის ნაწილები გადავიდნენ საზღვარზე და დაიწყეს გადამწყვეტი შეტევა დასავლეთის მიმართულებით.

გასვლის წინ ერთერთ ნაწილში მაიორმა ბელიავსკიმ მწყობრის წინ წაიკითხა სარდლობის ბრძანება. დაძაბული სიჩუმის წუთები მძლავრმა წითელარმიულმა „ვაშამ" შესცვალა.

მანქანაზე ადის ძმათა მატვეევების ეკიპაჟის მეთაური.

— სტალინის სახელით მივდივართ ჩვენ საბრძოლველად, რათა დავიცვათ ჩაგვრისაგან თვისტომი მოძმე ხალხები. ვარწმუნებთ სარდლობას, რომ მე ჩემი ეკიპაჟით ღირსეულად შევასრულებ ჩვენს მოვალეობას!

მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ქვედანაყოფის მეთაური ამხ. მუკასეევი.

— ჩვენი ძმები, ამბობს ის,—დახმარებას გვთხოვენ. ჩვენ წილად გვხვდა დიდი ბედნიერება გამოვიდეთ დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის მშრომელთა დასაცავად. სიხარულით მივდივართ საბრძოლველად. გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ წითელ არმიას! გაუმარჯოს ბედნიერების გენიალურ შემოქმედს ჩვენს დიდ **სტალინს!**

მძლავრმა პატრიოტულმა ტალღამ მოიცვა მებრძოლები და მეთაურები. ყველანი აღგზნებული არიან სურვილით რაც შეიძლება ჩქარა წავიდნენ ბრძოლაში და სასახელოდ შეასრულონ ბრძანება.

იქვე საუკეთესო მებრძოლებმა და მეთაურებმა შეიტანეს განცხადებანი ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში მიღების შესახებ.

შედიან რა პარტიის კანდიდატებად, კომკავშირელებმა ამხ. პანკინმა და ბურჩოკმა განაცხადეს:

— ჩვენ ერთად ვსწავლობდით, ერთად გვინდა წავიდეთ ბრძოლაში როგორც კომუნისტები.

პარტიაში მიღებულ იქნა 7 ამხანაგი.

წითელი მეომრები დიდი აღგზნებითა და აღფრთოვანებით ასრულებენ თავის წმინდათა-წმინდა მოვალეობას. ნაწილები სწრაფად იწევენ წინ და ერთი მეორეზე იკავებენ დასახლებულ პუნქტებს. ჯარის ყველა გვარეობანი მოქმედებენ ერთად და წარმატებით სძლევენ ყველა დაბრკოლებას თავის გზაზე.

კარგად მოქმედებენ ტანკისტ-მზვერავები. აქ საბრძოლო ტექნიკა სავსებით დაცულია, იგრძნობა დიდი ორგანიზებულობა. კარგი საბრძოლო წესრიგით მიდიან შეტევაზე ცხენოსნები.

ძნელია სიტყვებით გადმოიცეს დასავლეთ ბელორუსიის გლეხებისა და მუშების ბედნიერება და სიხარული მათთვის მახლობელი და მშობლიური მუშურ-გლეხური წითელი არმიის მისვლის გამო, რომელიც ანთავისუფლებს მათ კოშმარული თვითნებობისა, ძალადობისა, ჩაგვრისა და მონობისაგან. სადაც არ უნდა გამოჩნდნენ წითელი არმიის ნაწილები, დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიაზე მცხოვრები მშრომელნი მათ ეგებებიან დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და მგზნებარე მისალმებებით. დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი თავის სიხარულს გამოსთქვამენ, ბავშვებით გამოდიან ცენტრალურ გზაზე, რამდენიმე კილომეტრის სიშორიდან, რათა მგზნებარე სალამი და მადლობა უძღვნან წითელ არმიას დიადი მეგობრობისათვის, დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობისადმი დახმარებისათვის. სოფლებსა და დაბებში სადღესასწაულოდ გამოწყობილი გლეხები ქუჩებში გამოდიან და მებრძოლებს ყვავილებსა და ვაშლს უძღვნიან.

ერთერთ სოფელში წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს გარს შემოეხვივნენ გლეხები. სთხოვდნენ გაზეთები მოგვეცითო. ერთერთმა ამხანაგმა საველე ჩანთიდან ამოიღო გაზეთ „კრასნოარმეისკაია პრავდას" 16 სექტემბრის ნომერი. პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ამხანაგ სტალინის დიდი პორტრეტი. აქ მოხდა აუწერელი რამ. მოხუცმა გლეხმა ხელი ჩაავლო გაზეთს, დაუწყო მას კოცნა და ცრემლებით დანამა ყველა ჩაგრულთა ბელადის სახის ძვირფასი ნაკვთები. მებრძოლები, რომლებიც არ შემდრკალან პოლონელთა ნაწილებთან შეტაკებაში, გულდამშვიდებით ვერ უცქეროდნენ ამ ამაღლვებელ სცენას. ბევრი მათგანი ჩუმად იწმენდდა ცრემლებს.

წითელი არმიის მებრძოლებთან და მეთაურებთან საუბრებში დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა გამოსთქვამს მწვავე სიძულვილს კაპიტალისტებისა და მემამულეებისადმი, რომლებიც სულს უხუთავდნენ მუშებსა და გლეხებს აუტანელი გადასახადებით, ხარკებით, პირველი საჭიროების პროდუქტების მაღალი ფასებით. მოსავალი, დასავლეთ ბელორუსიის გლეხების განცხადებით, იმდენად დაბალია, რომ შეუძლებელია მოსახლეობამ თუნდაც სანახევროდ შიმშილით გაიტანოს თავი. მამაკაცები, ქალები და ბავშვები ფეხშიშველი დადიან, იმიტომ, რომ ჩექმები რომ იყიდო, მრავალ თვეს უნდა იმუშაო პანისათვის.

გაჭირვებას, ცრემლებს, სიღატაკეს, პანების მხრით ძალადობას ბოლო მოეღო. ახალი მზე ამოდის დასავლეთ ბელორუსიაზე.

**პ. ლიდოვი**

(„პრავდა", 19 სექტემბერი).

## სიხარული განთავისუფლებულ სოფლებში

**კიევი,** 18 სექტემბერი („პრავდის" კორესპონდენტი). „პრავდის" კორესპონდენტი დღეს ესაუბრა იმ № შენაერთის მეთაურს, რომელიც დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფება. შენაერთის მეთაურმა გაუზიარა კორესპონდენტს შთაბეჭდილებანი დასავლეთ უკრაინის მოსახლეობის შეხვედრაზე წითელი არმიის მებრძოლებთან. მან განაცხადა:

— დიდი სიხარულითა და აღტაცებით ხვდება მოსახლეობა წითელი არმიის ნაწილებს. სოფლებში კოპჩინცეში, კროგულეცში, ჩაბუროვკაში და საერთოდ ყველა სხვა სოფელში, მოსახლეობა წითელი არმიის ნაწილებს წითელი დროშებით ეგებებოდა.

გულისამაჩუყებელი სცენები ხდება იმ დასახლებული პუნქტების ქუჩებში, სადაც წითელი არმიის ნაწილები შედიან. მცხოვრებლები გარს ეხვევიან მებრძოლებს, ხელს ართმევენ მათ. ბევრნი სთხოვენ წითელარმიელებს, წითელი ვარსკვლავები გვაჩუქეთო. ვარსკვლავებს მკერდზე იკეთებენ, როგორც ძვირფას საჩუქარს.

ქუჩებში სტიქიურად იმართება სახელდახელო მიტინგები.

— რიდნი ნაშ, რიდნესენკი, ველირსეთ ბედნიერ დღეს, — ერთიმეორეზე ეუბნებოდნენ წითელარმიელებს სოფელ ჩაბუროვკის მცხოვრებნი.

სოფელ კამენკაში წითელარმიელებს გარს შემოეხვივნენ სოფლის ყველა მცხოვრებნი. ხალხში მოულოდნელად მაღლა ავიდა მოხუცი გლეხი, რომელმაც აღელვებით მიმართა ხალხს:

— უცქირეთ ყველამ! რაკი ასეთი წითელარმიელები გვიცავენ, ჩვენ აღარასოდეს აღარ დაგვედგმის პანების უღელი.

გამვლელ ნაწილებს მისძახოდნენ ლოზუნგებს საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

მცხოვრებლები სოფლის იქით შორს აცილებდნენ მებრძოლებს, და დიდხანს მისძახოდნენ წითელარმიელებს:

— ბედნიერი, ბედნიერი გზა!

ასობით შეკითხვებს აძლევენ მცხოვრებლები წითელარმიელებს საბჭოთა კავშირის შესახებ. ქალები ეკითხებიან:

— ნუთუ თქვენში ბავშვები სკოლებში თავის მშობლიურ უკრაინულ ენაზე სწავლობენ?

და, დადებით პასუხს რომ მიიღებენ, თვალცრემლიანი უამბობენ, რომ მათ უკრაინულ სიმღერებსაც კი უკრძალავდნენ. შევჩენკოს „კობზარი" აკრძალული წიგნი იყო.

ერთერთ სოფელში, რომელზეც წითელარმიელთა ნაწილი გადიოდა, სტიქიურად გამართულ მიტინგზე გამოვიდა ახალგაზრდა გლეხი. ის წითელარმიელებს უყურებდა, თავის მეზობლებს მიმართავდა და აღელვებულად ამბობდა:

— მე მინდა ასეთივე ვიყო როგორიც, ესენი არიან და კიდევაც ვიქნები ასეთი. მე ამათთან ერთად წავალ და აღარასოდეს აღარ იქნებიან ჩვენს მიწა-წყალზე პანები და მემამულეები. უკრაინა ერთიანი, ბედნიერი და თავისუფალი იქნება.

— ასეთი სცენები ხდება თვითეულ სოფელში, თვითეულ დასახლებულ პუნქტში, — დაამთავრა თავისი თხრობა შენაერთის მეთაურმა, — და მე, მართალი გითხრათ, სიტყვები ვერ მიპოვნია, რომ გამოვთქვა ის გრძნობები, რომლებსაც განიცდიან ამჟამად დასავლეთ უკრაინის უკრაინელები და განიცდის თვითეული ჩვენგანი.

(„პრავდა", 19 სექტემბერი).

## ამხანაგები ხრუშჩოვი და ტიმოშენკო დასავლეთ უკრაინაში

**კიევი,** 19 სექტემბერი („პრავდის" კორესპონდენტი, ტელეფონით). 17 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია პოდვოლოჩისკსა და სოფელ კამენკას, სადაც მას გულთბილად შეხვდა აღტაცებული ხალხი. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა პოდვოლოჩისკისა და კამენკის მცხოვრებლებს, რომლებიც ეკითხებოდნენ საბჭოთა კავშირში ცხოვრებაზე და გამოსთქვამდნენ მხურვალე მადლობას საბჭოთა ხალხისადმი იმისათვის, რომ განანთავისუფლა ისინი პოლონელი პანების მხრით ჩაგვრისაგან, იმისათვის, რომ წითელი არმია დაეხმარა დასავლეთ უკრაინის მშრომელებს.

18 სექტემბერს უკრაინის ფრონტის სარდალი, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ს. კ. ტიმოშენკო და უკრაინის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვივნენ ქალ. ტარნოპოლს, ქალ. ტრემბოვლიას და ქალ. სკალატს.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის და ს. კ. ტიმოშენკოს საუბრები მოსახლეობასთან ყველგან მთავრდებოდა აღტაცებული მოსახლეობის მისალმების ლოზუნგებით და სიხარულით აღსავსე შეძახილებით საბჭოთა ხალხის, მისი სახელოვანი წითელი არმიისა და დიდი სტალინის პატივსაცემად.

(„პრავდა", 19 სექტემბერი).

## წითელ მებრძოლებს ყვავილებით ეგებებიან

**მინსკი,** 18 სექტემბერი („პრავდის" სპეც. კორ.). „პრავდის" სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში ბელორუსიის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა, ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრმა ამხ. პ. კ. პონომარენკომ განაცხადა შემდეგი:

— 18 სექტემბერს მე შემოვიარე ფრონტის ის ნაწილები, რომლებიც განლაგებულნი არიან ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მიერ პანების უღლისაგან განთავისუფლებულ ზოგიერთ ადგილში. მე ვიყავი სტოლბცში, მირში, კორელიჩში, ტურეცში, ნოვოგრუდოკში და რამდენიმე სოფელში.

ჩვენი ჯარების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა განსაკუთრებით მაღალია. ამას ყველაზე უკეთესად ახასიათებს მარშის უმაგალითო სწრაფი ტემპები. მებრძოლთა საბრძოლო სიმკვირცხლე და აღფრთოვანება შეხამებულია მტკიცე რწმენასთან, სიდინჯესთან და ბოლშევიკურ დისციპლინიანობასთან.

უდიდესი პატივისცემა, რომელსაც მებრძოლები გლეხების საკუთრებისადმი იჩენენ, კოლოსალურ შთაბეჭდილებას ახდენს მოსახლეობაზე.

მე არასოდეს არ განმიცდია ისეთი აღელვება, როგორიც განვიცადე, როცა ვხედავდი წითელი არმიის შეხვედრებს ჩაგრული დასავლეთ ბელორუსიის გლეხობასთან. ყველა იმ გზის გასწვრივ, რომლებზეც ჩვენი ნაწილები მიდიან, ჩამწკრივებულია ხალხი წითელი დროშებითა და ლოზუნგებით. ქალიშვილები ყვავილებით რთავენ საბრძოლო მანქანებს და წითელარმიელთა და მეთაურთა ცხენებს. სოფლები აფერადებულია წითელი დროშებით. ქუჩებში განუწყვეტელი სიხარულია.

ნოვოგრუდოკი მთლად გაჭედილია მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული გლეხებით. ერთი წუთით არ სწყდება ოვაციები წითელი არმიის პატივსაცემად, რომელმაც თავისუფლება მოუტანა სიღატაკისა და სევდის ამ მხარეს. თვითეული ადამიანი ცდილობს რითიმე დაეხმაროს გამვლელ ნაწილებს.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დასავლეთ ბელორუსიის ბევრ ქალაქსა და სოფელს სრულებით აღარ ჰქონდა პური. პოლონეთის მთავრობამ სავსებით შესწყვიტა ქალაქების მომარაგება. ხარკებით გაღატაკებულ სოფელსაც აღარ შეეძლო უზრუნველეყო სურსათ-სანოვაგის შემოზიდვა. ახლა ქალაქები ნორმალურ ცხოვრებას იწყებენ, ეწყობა მათი მომარაგება.

ჩვენი წინსვლა იმდენად ელვისებური იყო, რომ გზაზე დაუზიანებელი დარჩა ყველა ხიდი, შეუფერხებლივ მუშაობენ ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტროსადგურები.

დასავლეთ ბელორუსიის მინდვრებზე მტკიცდება მშრომელთა ძმობა. მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც სწრაფად მიიწევს წინ სტალინის სახელით გულში, უკვდავი დიდებით შეიმოსავს თავს.

## ბედნიერი დღეები

რა სიტყვებით უნდა გადმოვცეთ აღტაცება და სიხარული დასავლეთ უკრაინის გლეხებისა, რომლებიც ჩვენს ნაწილებს ეგებებიან. მოზრდილები და ბავშვები ეხვევიან და ჰკოცნიან მებრძოლებსა და მეთაურებს, და თვითეულ გლეხს სურს რაიმე დახმარება გაუწიოს წითელ არმიას. როვნოს ახლოს, როდესაც ტანკის მეთაურმა ამხ. გორაშჩენკომ მადლობა გადაუხადა გლეხებს დახმარებისათვის, გლეხი მარჩანი გადაეხვია მას და მაგრად გადაჰკოცნა. თვალცრემლიანმა მარჩანმა სთქვა:

— გმადლობთ, ჩვენო ძვირფასო ძმებო. ჩვენ დიდხანს ვოცნებობდით თქვენზე. გმადლობთ — თქვენ იხსენით ჩვენი სიცოცხლე...

ერთერთ დასახლებულ პუნქტში გლეხებმა, რომლებიც გარს შემოეხვივნენ წითელი არმიის მებრძოლებს, ბოდიში მოიხადეს, ცუდად ჩაცმული ვართო.

— დღეს ჩვენთვის ბედნიერი დღეა, — ამბობს მარია ლამკო, — და ჩვენ სიხარულით ჩავიცვამდით საუკეთესო, ლამაზ ტანსაცმელს, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ტანსაცმელი. კონკებში დავდივართ.

მარია ლამკოს სიტყვა გააწყვეტინა ხნიერმა გლეხმა მარჩუკმა.

— ჩვენ ვიცოდით, — ამბობს ის, — თუ რა საამურად ცხოვრობს გლეხობა საზღვარს იქით, საბჭოთა ქვეყანაში. როდესაც განთიადისას მემამულესთან სამუშაოზე მივდიოდით, ჩვენ ვიცქირებოდით აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც კაშკაშა მზე ამოდიოდა და ვამბობდით: „აი მცხუნვარე მზე, რომელიც იმ მხრიდან ამოდის, სადაც ცხოვრება საამურია". ჩვენ გვესმოდა ტრაქტორების გუგუნი თვალუწვდენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩვენ ვხედავდით მრავალი ელექტროლამპის შუქს, რომლებიც საბჭოთა სოფლებს ანათებენ. ბოლოს, ჩვენს ცხოვრებაშიაც დადგა სასიხარულო დღეები, ჩვენი ოცნება ახდა.

წითელი არმიის მსროლელთა ერთერთი ნაწილის მებრძოლებთან მივიდა მოხუცი გლეხი. მისი გვარია მუხაში.

— მე სამოცდაათი წლისა ვარ, — სთქვა მან, — და მე ვიცი, რომ მოსკოვში არის კაცი, ყველა ჩაგრულთა მამა, რომელიც ფიქრობს და ზრუნავს ჩვენზე. მე ვიცი მისი სახელი. ეს არის იოსებ **სტალინი.**

როვნოს რაიონი. ტელეგრაფით. 18 სექტემბერი.

(„პრავდა", 19 სექტემბერი).

## დღესასწაული დასავლეთ ბელორუსიის სოფლებში

**მინსკი,** 18 სექტემბერი („პრავდის" კორესპონდენტი). აქ მოდის ცნობები იმის შესახებ, თუ რა აღტაცებით ხვდება დასავლეთ ბელორუსიის ხალხი წითელი არმიის ნაწილებს.

ქალაქ დისნაში მოსახლეობა მიესალმა წითელარმიელებს შეძახილებით „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!" მცხოვრებლები მებრძოლებს უძღვნიდნენ ყვავილებს, ვაშლს, რძეს და სუფრაზე იწვევდნენ მათ.

განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა გაუმართეს საბჭოთა ჯარებს სოფელ კომაისკის გლეხებმა. ამ სოფლის მოსახლეობა ჩვენი სამხედრო ნაწილების შესვლისას ქუჩაში გამოვიდა, როგორც დღესასწაულზე.

წითელი მებრძოლების გარშემო ყველგან დიდძალი ხალხი იყრის თავს. დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი ეკითხებიან წითელარმიელებს სსრ კავშირში ცხოვრებაზე. წითელი არმიის მისვლა განსაკუთრებით ახარებს ახალგაზრდობას.

დაბა რადოშკოვიჩში წითელარმიელებს შეეკითხნენ:

— როგორ არის ამხანაგი სტალინი? ხომ არ გაქვთ მისი პორტრეტი?

ამ დაბის თითქმის მთელი მოსახლეობა შეიკრიბა მიტინგზე.

დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა მოუთმენლად მოელის წითელი არმიის ნაწილების მისვლას. მფრინავები, რომლებიც დაზვერვას ახდენენ ზურგში, ხედავენ თუ რა მგზნებარედ მიესალმება მოსახლეობა საბჭოთა თვითმფრინავებს. როდესაც ჩვენი მზვერავი მანქანები დასახლებულ პუნქტზე გადაივლიან ხოლმე, მცხოვრებნი მათ ხელსა და ხელსახოცებს უქნევენ და ქუდებს მაღლა ისვრიან.

# საბჭოთა კავშირის მშრომელები აღფრთოვანებით მიესალმებიან ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას

## საბჭოთა ბელორუსიის მშრომელთა სიტყვა

**მინსკი,** 17 სექტემბერი (საკდესი). საბჭოთა ბელორუსიის ასიათასობით მშრომელმა უდიდესი ყურადღებით მოისმინა რადიოთი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა. მინსკის ოლქის საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში შესდგა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზედაც მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება თვისტომ ძმებისთვის—პოლონეთში მცხოვრები უკრაინელებისა და ბელორუსებისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მინსკის სამედიცინო ინსტიტუტში მიტინგზე, სადაც 1.000 კაცი შეიკრიბა, სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა ამხ. გოლუბმა.

—ჩვენი მამაცი წითელი არმია, — ამბობს იგი, ღირსეულად შეასრულებს თავის საპატიო ამოცანას. ჩვენ ვამაყობთ სახელოვანი წითელი მეომრებით და მეთაურებით. თუ საჭირო იქნება, ყველანი, როგორც ერთი კაცი, შევიმოსებით წითელი არმიის მეომრის საპატიო ფორმით.

ყოველი ჩვენგანი—სთქვა მიტინგზე ჩკალოვის სახელობის ქარხნის სტახანოველმა ამხ. ნეიდერმა, სიხარულით იწონებს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას. ჩვენი წმინდა ვალია—დახმარება აღმოვუჩინოთ პოლონეთში მოსახლე ძმებს—უკრაინელებსა და ბელორუსებს. ჩვენს ძლიერებაში დარწმუნებულნი, ჩვენ კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვეცდებით მივაღწიოთ ახალ საწარმოო წარმატებებს.

ვიტებსკის ოლქის ორშანსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელში „კრასნიე ვსხოდი“ მიტინგზე გამოვიდა კოლმეურნე ამხ. კორშუნოვი, რომელმაც სთქვა:

— მე 70 წლისა ვარ, მაგრამ ეს ხელს ვერ შემიშლის ავიღო შაშხანა და გამოვიდე ჩემი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. დიდი სიხარულით მივესალმები საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას. საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი წითელი არმია, რომელსაც ახლა განთავისუფლება მიაქვს პოლონეთში მცხოვრებ ჩვენს თვისტომ ძმებისთვის—უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის. გასულ წელს ჩემი შვილი ბრძოლის პოსტზე დაიღუპა. მის ადგილზე წითელ არმიაში შევიდა ჩემი უმცროსი შვილი, რომელიც ღირსეულად ატარებს წითელი არმიის მეომრის სახელს.

მიღებულ რეზოლუციაში სასოფლო-სამეურნეო არტელის „კრასნიე ვსხოდის“ კოლმეურნეები აცხადებენ:

— სულით და გულით ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას. ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მზადა ვართ შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა 5-ათასიანი მიტინგი შესდგა ვიტებსკის ფაბრიკა „ზნამია ინდუსტრიალიზაციაში“.

ტრიბუნაზე ადის პალტოს საამქროს სტახანოველი ქალი ამხ. კანაევა. იგი ამბობს:

— სიტყვები არა მყოფნის, რათა გამოვთქვა სიხარული, რომლითაც ჩვენ დახმარების ძმურ ხელს ვუწვდით დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებს. დამშვიდებით, რკინისებური დისციპლინის დაცვით, ჩვენ კიდევ უკეთ ვიმუშავებთ ჩვენს დაზგებზე. კარგად ვიცით, რომ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება წითელი არმიისათვის საუკეთესო დახმარების აღმოჩენაა.

## მივცეთ ჩვენს ქვეყანას მაღალხარისხოვანი პროდუქცია

**ტირასპოლი,** 18 სექტემბერი (საკდესი). გუშინ მოლდავეთის დედაქალაქის ყველა საწარმოში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას პოლონეთში მცხოვრები უკრაინელები და ბელორუსები, რომლებიც პოლონეთის მთავრობამ ბედის ანაბარად მიატოვა.

ტკაჩენკოს სახელობის ქარხნის მიტინგზე შეიკრიბა 1000-ზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე. დიდი ყურადღებით მოისმინეს მათ ცნობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის სიტყვის შესახებ.

მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივი სავსებით იწონებს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, მიმართულს ჩვენი სამშობლოს ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისაკენ.

## კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება

**კამენეც-პოდოლსკი,** 18 სექტემბერი (საკდესი). კამენეც-პოდოლსკის ოლქის საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიმდინარეობს მშრომელთა მიტინგები.

დუნაევეცის ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკაში გუშინ შეიკრიბა 650 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარიამ სტეფანეს ასულმა დერიკოზმა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა, განაცხადა:

— საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა თავის ისტორიულ სიტყვაში გამოსთქვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ნებასურვილი. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ გმირული წითელი არმია ღირსეულად შეასრულებს თავის საპატიო მოვალეობას. სოციალიზმის ქვეყნის მამაცი მეომრები ერთხელ და სამუდამოდ გაანთავისუფლებენ ჩვენს ძმებს—უკრაინელებსა და ბელორუსებს — პანების ჩაგვრისაგან.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ჩემეროვეცის რაიონის ვოროშილოვის სახელობის საზღვრისპირა კოლმეურნეობაში. დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოუსმინეს 80 წლის კოლმეურნე ქალს პრასკოვია სოსუევას. სიხარულით აღსავსემ, მან მადლობა გადაუხადა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებზე ზრუნვისათვის.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში ოლქის მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას, კისრულობენ ვალდებულებას უფრო გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, ახალი საგმირო საქმეებით შრომის ფრონტზე განამტკიცონ თავისი მშვენიერი სამშობლოს ძლიერება.

## დეპოელთა ერთსულოვნება

თბილისის სორტირებელი დეპოს კლუბის დარბაზი სავსეა ხალხით. სახელდახელო მიტინგს 500-მდე საბჭოთა პატრიოტი, კრივონოსელი რკინიგზელი ესწრება. ისინი დაძაბული ყურადღებით უსმენენ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს, ორდენოსან ამხ. გ. კიკნაძეს, რომელიც მათ აცნობს საბჭოთა მთავრობის მეთაურის — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შინაარსს.

პირველ სიტყვას იღებს საკომპლექსო საამქროს ზეინკალი, სტახანოველი ამხ. გ. ბერიაშვილი. იგი ლაპარაკობს ისტორიულად მოძმე დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხების შავბნელ წარსულზე, მათ ჩაგვრაზე პოლონელი პანების მიერ. — ვეხმარებით რა ჩვენს დასავლეთელ ძმებს — ამბობს ამხ. ბერიაშვილი, — ვამაყობთ ამით, რადგან ვასრულებთ ჩვენს წმინდათაწმინდა მოვალეობას, ვიცავთ დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს.

სტახანოველი ამხ. შ. ხიზანიშვილი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხი კვლავინდებურად განაგრძობს მშვიდობიან შრომას. თავისი ბრიგადის სახელით ამხ. ხიზანიშვილი პირობას იძლევა, რომ სექტემბერში, ნაცვლად 25 ორთქმავლისა გამოუშვებს 33-ს.

მეტად საინტერესო იყო დეპოს უხუცესი მუშის, სტახანოველ ამხ. გ. დაცკოს სიტყვა. მან ილაპარაკა პოლონეთის უუნარო და უგუნურ ხელმძღვანელთა ღალატზე.

მხურვალე და ამაღელვებელი იყო აგრეთვე კრივონოსელი მემანქანის, რეგოლური სვლის ინიციატორის ამხ. ლ. ობოლაშვილის, კომკავშირელი ქალის ამხ. ნ. ნარტოვას, საპატიო რკინიგზელის ნიშნით დაჯილდოებულ ამხ. ვ. მიხანაშვილის, დამამზადებელი საამქროს ზეინკლის ამხ. შ. ჩინჩალაძის, ამხ. ჭოლოკავას, მჩარხავი საამქროს ბრიგადირის ამხ. არ. მაკარაშვილის, დეპოს უფროსის ინჟ. ქ. სარალიძის და ამხ. ივ. გეტაშვილის გამოსვლები.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ისინი ერთხმად მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის სახელოვან ნაბიჯს — დახმარება გაუწიოს პოლონელი პანების უღელქვეშ მგმინავ, ჩვენს მოძმე დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ხალხებს.

მიტინგი მთავრდება, დარბაზში გრიალებს მძლავრი ხანგრძლივი ტაში და მქუხარე ოვაციები. ყველანი „ინტერნაციონალს“ მღერიან.

## მკერდით დავიცავთ სოციალისტურ სამშობლოს

18 სექტემბერს წითელწყაროს რაიონულ კლუბში ჩატარდა მშრომელთა მიტინგი. მიტინგმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივნის ამხ. შ. ცქიტიშვილის ინფორმაცია — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შესახებ.

ამაღელვებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. დ. ჯანიკაშვილი, ს. გოგოშვილი, ნ. ბეგიაშვილი და სხვ., რომლებიც ერთსულოვნად მიესალმებოდნენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას.

ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა აგრეთვე საქწავთის სარეწაოებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

## ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე

18 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე 30 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ამ დღეს სტადიონზე დანიშნული იყო ოსტატ ფეხბურთელთა ორი უძლიერესი გუნდის — თბილისისა და კიევის „დინამოს“ მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხ. **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, მ. ჯაში, ი. თავაძე, ა. რაფავა, ა. მირცხულავა,** სსრ კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

გუნდების შესვენების დროს სტადიონზე თავმოყრილი ზღვა ხალხის ყურადღება რადიორუპორმა მიიპყრო.

— ისმინეთ! ისმინეთ! ისმინეთ!— გაისმა დიქტორის ხმა.

მიკროფონთან გამოვიდა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. სტურუა,** რომელმაც დამსწრეთ გააცნო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვის** მიერ 1939 წლის 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შინაარსი.

ხალხი გულმოდგინეთ უსმენდა ამხ. გ. სტურუას ამაღელვებელ სიტყვებს.

დიდი იყო ხალხის აღფრთოვანება იმ მომენტში, როდესაც ორატორმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ განკარგულება მისცა წითელი არმიის მთავარსარდლობას გასცეს ბრძანება ჯარებისადმი — გადავიდნენ საზღვარზე და დაიცვან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის სიცოცხლე და ქონება.

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ხალხი საბჭოთა მთავრობის ამ გონივრულ გადაწყვეტილებას. მთელი სტადიონი მქუხარე ტაშმა მოიცვა.

ამხ. სტურუა აქვეყნებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის 17 სექტემბრის ოპერატიულ ცნობას.

უსაზღვრო სიხარულისა და აღფრთოვანების მძლავრი აზვირთება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩვენი მშობლიური წითელი არმია, უკვე შეუდგა მიცემული ბრძანების პრაქტიკულად განხორციელებას და მთლიანი ფრონტით გადავიდა საზღვარზე ლატვიიდან რუმინეთამდე და დაიკავა მთელი რიგი პუნქტები დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში, სადაც მათ მოსახლეობა ყველგან აღფრთოვანებით ხვდება.

საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და სიყვარულის დიად გრძნობებს გამოხატავდა ის უსაზღვრო აღფრთოვანება, რომელიც გამოიწვია ამ ცნობამ. დამსწრენი მქუხარე ტაშითა და შეძახილებით მიესალმებოდნენ მშრომელი კაცობრიობის ბრძენ ბელადს დიდ **სტალინს,** საბჭოთა მთავრობას და მის სახელოვან მეთაურს ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს,** საყვარელ, ღვიძლ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და მის სარდალს ამხ. **კ. ე. ვოროშილოვს.**

დაამთავრა რა თავისი სიტყვა, ამხ. სტურუამ მოუწოდა მშრომელთ უფრო გაამახვილონ სიფხიზლე, არ წამოეგონ რაიმე პროვოკაციის ანკესზე, მტკიცედ დაიცვან წესრიგი და ყველამ თავის უბანზე გააძლიეროს ბრძოლა პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის; არ დაუშვან სურსათ-სანოვაგისა და მომარაგების სხვა საგნების ზედმეტი დაგროვება, რადგან ამის საჭიროება არ არის, საბჭოთა მთავრობას ჭარბად მოეპოვება ყველაფერი იმისათვის, რომ ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობდეს; ებრძოლონ და ძირშივე აღკვეთონ სპეკულაციის ყოველგვარი ცდა.

## დაუღალავად ვემსახურებით მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შესახებ დერმატო-ვენერიულ ინსტიტუტში შემდგარ მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ს. ბილისეიშვილი.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს უფროსმა მეცნიერ მუშაკმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. თოფურიძემ, მეცნიერ მუშაკმა პ. მგალობლიშვილმა, ინსტიტუტის დირექტორმა ვ. იაშვილმა, დისპანსერის გამგემ ი. გაბიჩვაძემ, ექიმებმა ვ. სიხარულიძემ, ვ. სვანიძემ და სხვ. ისინი აღფრთოვანებით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის ღონისძიებას და პირობას იძლევიან მეტის თავდადებით და ენერგიით ემსახურონ მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის საქმეს.

მიღებულ რეზოლუციაში პროფესორები, ექიმები და მუშა-მოსამსახურენი ერთსულოვნად იწონებენ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, სიტყვას იძლევიან, რომ უკეთესად შეისწავლიან სამხედრო საქმეს და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე მზად იქნებიან ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების დასაცავად.

**ვ. სიხარულიძე.**

## სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის გამო სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი. ინფორმაციით ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გარსევანიძე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი საგარეო პოლიტიკის დარგში. მიტინგი ერთსულოვანი ტაშით შეხვდა იმ ამბავს, რომ საბჭოთა მთავრობამ იმის გამო, რომ პოლონეთის სახელმწიფო და მისი მთავრობა ფაქტიურად აღარ არსებობენ, განკარგულება მისცა წითელ არმიას გადავიდეს საზღვარზე და დაიცვას დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა სიცოცხლე და ქონება.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ელიჩანინოვი, ა. მირიმანოვი, ი. ნაცვლიშვილი, ლ. გავრილოვი, ვ. ესაიაშვილი, ა. შანაზაროვი, რ. ფურცელაძე და სხვ.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები იწონებენ და მიესალმებიან მთავრობის ნაბიჯს, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ დახმარების ხელი გაეწოდოთ ბედის ანაბარად მიტოვებულ უკრაინელ და ბელორუს ძმებს.

თავისი ერთსულოვანი მოწონება საბჭოთა მთავრობის გონივრული პოლიტიკისა კომბინატის კოლექტივმა გამოხატა ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში.

## წალენჯიხის მშრომელთა ხმა

(წალენჯიხა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

წალენჯიხის კინოთეატრის დარბაზში ჩატარებულ რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე, რომელსაც 500-ზე მეტი მშრომელი ესწრებოდა, სსრ კავშირის მთავრობის მეთაურის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ნაჭყებია.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები ვ. ბელქანია, მ. შონია, ვ. მიქავა და სხვ. ერთსულოვნად იწონებდნენ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას.

ასეთივე ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა ჩაის ფაბრიკაში, ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და რაიონის საწარმო-დაწესებულებებში.

მშრომელნი ყველგან აღფრთოვანებით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს.

**ვლ. მიქავა**

## მივცემთ იმდენ ნახშირს, რამდენსაც ჩვენგან მოითხოვს სამშობლო

**აქარმარა,** 18 სექტემბერი (საქდესი). გუშინ და დღეს „ტყვარჩელნახშირის“ ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროების ყველა ცვლაში და აგრეთვე მუშების საერთო საცხოვრებლებში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა.

ტყვარჩელის მაღაროელები აღფრთოვანებით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას — დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს ძმებს — უკრაინელებსა და ბელორუსებს, რომლებიც პოლონეთში ცხოვრობენ.

მიტინგზე სიტყვით გამოსული ამხ. ბუიუკ-ოღლი, კუზბასოვი, სალჩევიცი და სხ., გამოსთქვამდნენ რა მაღაროელთა საერთო აზრს, აცხადებდნენ, რომ სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი კიდევ უფრო განამტკიცებს სტახანოვურ მოძრაობას, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და ამით ნამდვილ დახმარებას აღმოუჩენს სახელოვან წითელ არმიას.

— ჩვენი მაღარო მისცემს იმდენ ნახშირს, რამდენსაც მოითხოვს სამშობლო, — აცხადებენ ისინი.—მაღაროელები მზად არიან პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ჩადგნენ სახელოვანი წითელი არმიის რიგებში თავისი სამშობლოს დასაცავად მტრების ხელყოფისაგან.

ტყვარჩელელი მაღაროელები მხურვალედ მიესალმებიან ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, წითელ არმიას, ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს.

## ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კლუბი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებით გაიჭედა. ყველა უდიდესი ყურადღებით უსმენდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. არ. გიგოშვილს, რომელმაც დამსწრეთ გააცნო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ 1939 წლის 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვა.

ამხ. გიგოშვილის სიტყვის დასასრულს იგრიალა დარბაზში მქუხარე ტაშმა და გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს!**“ „ვაშა მშობლიურ წითელ არმიას და მის სახელოვან სარდალს, სსრ კავშირის პირველ მარშალ ამხანაგ **ვოროშილოვს!**“

ქარხნის კოლექტივი მგზნებარედ გამოეხმაურა საბჭოთა მთავრობის ამ ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯს.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები: ნ. სუქიასოვი, ალ. პეტროვი, ა. ოვიანი, ვ. კირილიანი, ი. მურადოვი, მარგო მანუჩარიძე, ს. პაპოვი და მ. სარქისოვი ერთსულოვნად აცხადებდნენ, რომ ამხანაგმა მოლოტოვმა თავის სიტყვაში გამოხატა საბჭოთა კავშირის 170-მილიონიანი ხალხის ნებასურვილი. ჩვენს მთავრობასთან ერთად ჩვენც მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი წითელი არმია წარმატებით შეასრულებს დიად განმათავისუფლებელ ამოცანას, იხსნის ჩვენს სისხლხორცეულ ძმებს — დასავლეთ უკრაინელ და ბელორუსელ მშრომელებს პოლონელი პანების ჩაგვრისაგან და იმპერიალიზმის კლანჭებისაგან.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც იწონებენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას და პრაქტიკულ ღონისძიებებს.

## დახმარების ხელი გავუწოდოთ ჩვენს ძმებს

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ბათუმის მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის ბრძნულ ღონისძიებას დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებისათვის ძმური დახმარების გასაწევად.

ცნობის მიღებისთანავე შესდგა სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელდახელო მიტინგი, რომელზეც მოსმენილ იქნა ინფორმაცია ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის გარშემო.

სიტყვებით გამოვიდნენ ლუკაშვილი, გარუჩავა, ბელიაევი, რუსტამოვი და სხვ. ისინი აღფრთოვანებით მიესალმნენ მთავრობის ღონისძიებას პოლონეთში მცხოვრებ უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის ძმური დახმარების გასაწევად.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ბელადის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მენავთეები ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს საერთაშორისო პოლიტიკის დარგში და კისრულობენ ვალდებულებებს კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა საწარმოო საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ენტუზიაზმით ჩატარდა მიტინგები აგრეთვე ნავთსადგურში, რკინიგზის კვანძზე და სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

**კ. დოგორჯგინიძე**

## ტყიბულის მაღაროებში

(ტყიბული, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის რაიონის მშრომელნი აღფრთოვანებით მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაურის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვას.

იმავე დღეს, ლენინის სახელობის მაღაროში შესდგა სახელდახელო მიტინგი, რომელიც გახსნა მაღაროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. გორგიძემ. ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა რაიონის სამხედრო კომისარი ამხ. ი. ბალათურია. სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. შ. სოფრომაძე, ი. ტორონჯაძე, ალეონიანი და სხვები, რომლებიც ერთსულოვნად მიესალმნენ მთავრობის ღონისძიებას პოლონეთში მცხოვრებ ჩვენი თვისტომი უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის ძმური დახმარების გაწევად, რომელთა სიცოცხლე და ქონება პოლონეთის უბადრუკმა მთავრობამ შემთხვევის ანაბარა მიატოვა.

ასეთივე მიტინგები ჩატარდა ტყიბულის სხვა საწარმოებშიაც.

**დ. საბელაშვილი**

## უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო

(ქვემო-სვანეთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

18 სექტემბერს ლენტეხის კლუბში შესდგა ლენტეხის მშრომელთა მიტინგი, რომელზედაც ინფორმაციით სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ბ. ახვლედიანი.

მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები ს. მაკრახიძე, გ. გამყრელიძე, გ. ტაშლიანი და ალ. მენაბდე, რომლებიც ერთსულოვნად მიესალმებოდნენ ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ რაიონის მშრომელნი კიდევ უფრო მაღლა ასწევენ ძმური სოლიდარობის ინტერნაციონალურ დროშას და უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, დიდი ბელადის მშობლიური სტალინის გარშემო.

**ალ. ჯინჭარაძე**

---

სომხური ეპოსის „სასუნცი დავითის“ 1000 წლისთავი

## სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

**ერევანი,** 19 სექტემბერი (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს პლენუმზე გამოვიდნენ მოძმე ერთა ლიტერატურის წარმომადგენლები, მათ შორის — თურქმენი, ყალმუხი, ჩუვაში, კომი, აფხაზი, ყირიმელი მწერლები და დაუხასიათეს დამსწრეთ მათი მწერლობის მშვენიერი, ნათელი აწმყო უფრო ნათელი და მშვენიერი პერსპექტივები, ამ ეროვნებებს შორის არიან ისეთები, რომელთაც წინათ დამწერლობა არ ჰქონიათ, და მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიისა და პირადად დიდი სტალინის მზრუნველობით ამ 20-22 წლის განმავლობაში შექმნეს მოწინავე ლიტერატურა.

დღევანდელ სხდომას თავმჯდომარეობდა სახალხო პოეტი აკადემიკოსი პავლო ტიჩინა.

პირველი სიტყვა მან მისცა სომხეთის გამოჩენილ პოეტს ავეტიკ ისააკიანს. ამხ. ისააკიანი შეეხო იმ საკითხს, თუ როგორ არის გამოყენებული სომხური ეპოსი; მან აღნიშნა, რომ დავითი უაღრესად რეალური ელემენტია მთელი თქმულებისა, მაგრამ სომეხმა ხალხმა მას ლეგენდარული წინაპრები მოუძებნა.

სომხეთის ორდენოსანმა დრამატურგმა დემირჩიანმა კარგად გაარკვია დავით სასუნცის პოეტიკა და მხატვრული სახეები, რომლებითაც მდიდარია სომხური ეპოსი.

რუსმა მთარგმნელმა და პოეტმა მიხეილ ლოზინსკიმ თავისი სიტყვა „დავით სასუნცის“ რუსულ ენაზე პირველ მთარგმნელს ვალერი ბრიუსოვს მიუძღვნა. მთელმა დარბაზმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ამ შესანიშნავი პოეტის ხსოვნას. „სასუნცი დავითის“ ერთერთმა რუსმა მთარგმნელმა პოეტმა ლიპსკეროვმა საუკეთესო ანალიზი გაუკეთა ეპოსის დიალოგებს. გულთბილად შეხვდა დარბაზი თურქმენეთის მწერალს კაუშუტოვს. ყალმუხთა მწერალმა ლიჯიევმა აცნობა პლენუმს, რომ ყალმუხი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს სომეხი ხალხის გენიალური თქმულებისადმი. ეს ნაწარმოები ნაწილობრივად ითარგმნა მათ ენაზე. ჩუვაშეთის მწერალთა კავშირის წევრმა ამხ. ილგერმა ასეთივე სასიხარულო ამბავი აცნობა პლენუმს, სომეხი ხალხისადმი მხურვალე მისალმებით გამოვიდა აფხაზი პოეტი ლ. კვიწინია.

ცნობილმა სომეხმა პოეტმა სტ. ზორიანმა გააკეთა ვრცელი მოხსენება იმ საუკეთესო ნიმუშებზე, რომლებიც „სასუნცი დავითის“ ეპოსზე წარმოიშვა. ოვანეს თუმანიანმა, ლეონ მანანჯიანმა და ავეტიკ ისააკიანმა ეპოსის თემებზე მაღალი მხატვრული პოეტური ნაწარმოებები შექმნეს.

სიტყვებით გამოვიდნენ ავარელი მწერალი შამილ ალიათინი, იური ლიბედინსკი. ორდენოსანმა პოეტმა ალ. ჟაროვმა წაიკითხა მშვენიერი ლექსი.

დღეს დილით მწერლებმა დაათვალიერეს ეჩმიაძინის ისტორიული სიძველეები, კოლმეურნეობა „ულმერთომ“ მწერლებს გულუხვი შეხვედრა მოუწყო. ხვალ შესდგება პლენუმის უკანასკნელი სხდომა. მწერლები დილით მიემგზავრებიან სომხეთის ერთერთ უძველეს დედაქალაქ დვინში.

**ბ. აბულაძე**

## ფიზკულტურელთა დიდი პარადი ერევანში

**ერევანი,** 19 სექტემბერი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). „სასუნცი დავითის“ სახელოვანი ათასი წლისთავის აღსანიშნავად მზიური სომხეთის ფიზკულტურელებმა 18 სექტემბერს გამართეს გრანდიოზული პარადი, რომელშიც 10.000-ზე მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

დილის 11 საათზე დაიწყო კოლონების გავლა მოედანზე. ტრიბუნაზე ავიდნენ ამხანაგები: **არუთინიანი, პაპიანი, ფირუზიანი, ფადეევი, კიკნაძე, აკად. ორბელი, გრიგორიანი, მაშაშვილი, ტიჩინა, კუპალა,** საიუბილეო კომიტეტის წევრები და სტუმრები.

კოლონების წინ მოდის ამბარცუმიანი, შტანგის მსოფლიო რეკორდსმენი, რომელიც გამოხატავს დავითს. პირველმა კოლონებმა აჩვენეს სომხეთის ფიზკულტურელთა მიღწევები ფიზკულტურის სხვადასხვა სახეებში. მათ დამყარებული აქვთ 3 მსოფლიო და 5 საკავშირო რეკორდი. ერევნელმა მოწაფეებმა, სტუდენტებმა, პიონერებმა აჩვენეს საუცხოო მომზადება, შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნა. საერთო აღტაცება გამოიწვიეს პიონერთა კოლონებმა, რომლებმაც მწყობრი რიგებით გაიარეს მოედანზე. ქალთა კოლონის შემდეგ გაიარა სინთეტიკური კაუჩუკის „სოპრენის“ ქარხნის მძლავრმა კოლონამ, რომელმაც გაატარა **ლენინის, სტალინისა** და **ბერიას** ვეებერთელა პორტრეტები.

ცოცხალი დიაგრამები შესცვალეს იუბილეს პატივსაცემად მოწყობილი სახალხო ოლიმპიადის მონაწილეთა კოლონებმა. მათ მასობრივი ცეკვით და სიმღერით გაიარეს მოედანი და მაყურებელთა საერთო აღტაცება გამოიწვიეს. შემდეგ გაიარეს „სვიაზის“, „ნაუკის“, „სპარტაკის“, „მედიკის“, „დინამოს“, „კოლოსის“ ფიზკულტურულ საზოგადოებათა კოლონებმა.

საერთო აღტაცება გამოიწვიეს საცხენოსნო სპორტის, ველოსპორტისა და მოტოციკლეტისტთა კოლონებმა. შემდეგ დაიწყო ვარჯიში, რომელშიაც ფიზკულტურელებმა მაღალი კლასი გამოამჟღავნეს. ფრიად დიდი წარმატებით გამოვიდნენ ლენინაკანელი ფიზკულტურელები. შესანიშნავად ინსცენირებული იყო დავითის ბრძოლა მისრა მელიქთან.

მაყურებლები კარგად შეხვდნენ ქალთა თავისუფალ მოძრაობებს, ჭიდაობას და სხვ.

## კ. ე. ციოლკოვსკი

### (1857—1935)

4 წლის წინათ, 1935 წ. 19 სექტემბერს გარდაიცვალა **კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი.** კ. ე. ციოლკოვსკი იმ იშვიათ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც მთელ თავის სიცოცხლეს სწირავენ საყვარელ იდეას და, მიუხედავად მძიმე მატერიალური და მორალური პირობებისა, არ ღალატობენ მას.

კ. ე. ციოლკოვსკი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და გამომგონებელი იყო. მისი ნაშრომები უმთავრესად ავიაციის თეორიასა და პრაქტიკას შეეხება. 1895 წელს, 8 წლით ადრე ძმებ რაიტების პირველ ცდებამდე, მან დაამუშავა აეროპლანის პროექტი და გამოაქვეყნა შრომა „აეროპლანი ანუ ფრინველის მსგავსი (საავიაციო) საფრენი მანქანა“. ყველაზე უფრო დიდი შრომა კ. ე. ციოლკოვსკის მიუძღვის პლანეტათა შორის რაკეტით ფრენის საკითხების დამუშავებაში.

ჯერ კიდევ 10 წლით ადრე პირველი ცეპელინის გამოგონებამდე, კ. ე. ციოლკოვსკიმ დაამუშავა პროექტი ლითონის დირიჟაბლისა, რომლის გარსი მზადდება ტალღისებრი ფოლადისაგან. ამ პროექტის განხორციელებას კ. ე. ციოლკოვსკი სიკვდილამდე ემსახურებოდა.

კ. ე. ციოლკოვსკი დაიბადა სოფ. იჟევსკში (რიაზანის გუბ.) ღარიბ ოჯახში. მამამისი ტყისმცველი იყო. 10 წლისა რომ გახდა, ციოლკოვსკი ქუნთრუშისაგან დაყრუვდა. ბავშვობიდანვე გატაცებული სხვადასხვა მოდელების გაკეთებით, ჯერ კიდევ ჭაბუკი, ყურადღების ცენტრში აყენებს აეროსტატს. სისტემატურად ციოლკოვსკი ცოტას სწავლობდა, იგი უმთავრესად კითხულობდა იმას, რაც მისთვის გარკვეული დროისათვის იყო საინტერესო. ასე, მაგალითად, სწავლება ცენტრიდანი ძალის შესახებ მას აინტერესებდა იმიტომ, რომ მას სურდა ამ ძალის გამოყენება კოსმიურ სივრცეში ასასვლელად. იყო მომენტი, როდესაც მას მოეჩვენა, რომ მან ეს საკითხი გადასჭრა (16 წლისამ). იგი ისე აღელვა ამან, რომ მთელი ღამე უძილოდ გაატარა და სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რა საოცარი შედეგები მოჰყვებოდა ამ აღმოჩენას. მაგრამ უკვე დილით დარწმუნდა თავისი აღმოჩენის შეცდომაში.

წიგნები მის დროს, საზოგადოდ, ცოტა იყო და მას ხომ თითქმის არ გააჩნდა, ამიტომ მას უხდებოდა დამოუკიდებლად აზროვნება და ხშირად შემცდარ გზას ადგებოდა. ხშირად იგი აღმოაჩენდა ხოლმე იმას, რაც უკვე ცნობილი იყო. ასე, მაგალითად, 1881 წ. მან დაამუშავა აირების თეორია, ის კი არ იცოდა, რომ მან 24 წლით დაიგვიანა. სამაგიეროდ იგი მიეჩვია კრიტიკულ აზროვნებას.

1887 წ. ციოლკოვსკი აკეთებს მოხსენებას მოსკოვში ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოებაში „ლითონის აეროსტატის შესახებ“. მოხსენებას გულთბილად შეხვდნენ, მაგრამ საქმე ამას აღარ გასცილებია.

1890 წ. **დ. მენდელეევის** საშუალებით გადაეგზავნა ტექნიკურ საზოგადოებაში თავისი ახალი ნაშრომი „ლითონის აეროსტატის აგების შესაძლებლობის შესახებ“. საზოგადოებამ ამ ნაშრომში გამოთქმული იდეები სავსებით მისაღებად სცნო.

ციოლკოვსკიმ დაამუშავა აგრეთვე რეაქტიულ ხელსაწყოთა საშუალებით ჰაერში ასვლის საკითხები. „გაივლის, ალბათ, — ამბობს ციოლკოვსკი, — ასეული წლები, ვიდრე ჩემი იდეები ხორცს შეისხამენ და ადამიანი ისარგებლებს რეაქტიული ხომალდებით, რათა მოსახლეობა მოეფინოს არა მარტო მთელს დედამიწას, არამედ მთელს სამყაროს“.

მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებრიობამ და მთავრობამ დააფასა ციოლკოვსკის დიდი საქმიანობა. იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

„მე დარწმუნებული ვარ, — ამბობს ციოლკოვსკი, — რომ თუ ჩვენი სპეციალისტები სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს ლითონის დირიჟაბლის მშენებლობას, სულ მოკლე ხანში საბჭოთა კავშირში, სადაც ტექნიკა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, შესაძლებელი გახდება ასეთი ხომალდების გამოშვება ათასობით. უეჭველია, ისინი უფრო სასარგებლო იქნება ტრანსპორტისათვის, ვიდრე ორთქმავლები და გემები“.

**შ. ზვინჩიძე**

# მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე

**ბერლინი,** 17 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის დღეს გამოქვეყნებულ ოპერატიულ ცნობაში აღნიშნულია, რომ დასავლეთის ფრონტზე ცვაიბრიუკენის რაიონში (საარბრიუკენის აღმოსავლეთით), გერმანიის ჯარის წარმატებული მოქმედების შედეგად, მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. ამ რაიონში ჩამოგდებულია დასაზმელი აეროსტატი მტრისა.

საჰაერო თავდასხმა გერმანიის ტერიტორიაზე განვლილი დროის განმავლობაში არ მოუხდენიათ.

**პარიზი,** 18 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტომ ღამით გამოაქვეყნა, რომ მთელ დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა, საომარი მოქმედების დაწყების დღიდან საფრანგეთის გენერალური შტაბის კომუნიკემ პირველად განაცხადა იმის შესახებ, რომ არავითარი მნიშვნელოვანი რამ რეინსა და მოზელს შუა არ მომხდარა. „სიწყნარე ჩამოვარდა, — იუწყება სააგენტო, — უკანასკნელი დღეების განმავლობაში ფრონტის სხვადასხვა პუნქტებში მომხდარი კონტრშეტევების შემდეგ. 14 დღის განმავლობაში საფრანგეთის ჯარის ნაწილების წინსვლისა და გერმანელთა გაცხოველებული საპასუხო მოქმედების შემდეგ ორივე მხარემ მოახდინა თავისი პოზიციების საჭირო განმტკიცება“.

**პარიზი,** 19 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი იუწყება: „პოლონეთის არმიის განადგურება ჯერ კიდევ არ დასტყობია საფრანგეთის ფრონტს. გერმანელებმა გააძლიერეს ზიგფრიდის ხაზების გარნიზონები შიდა გერმანიიდან გადმოყვანილი ზოგიერთი ნაწილით, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ ჰქონიათ დრო, რათა მოეხდინათ აღმოსავლეთიდან დასავლეთში ჯარის გადაყვანის უდიდესი ოპერაცია. მათ ჯერ პოლონეთში დაბანდებული ჯარის ნაწილიც კი არ გადმოუყვანიათ.

დასავლეთის ფრონტზე საომარი მოქმედების დროებითი შეჩერება იმიტომ ხდება, რომ საფრანგეთის ჯარი გერმანიის სიმაგრეების მიმართულებით მეთოდური წინსვლის შემდეგ იმყოფება მის მიერ გამაგრებულ მრავალრიცხოვან პუნქტში, საიდანაც შემდგომში წინსვლა მოითხოვს გულმოდგინე მომზადებას, შეტევის ყველა ელემენტის ამოქმედებას და საჭირო საშუალებათა კოორდინაციას. ყოველივე ეს საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს.

საარბრიუკენის სამხრეთით, სადაც საფრანგეთის ჯარის მიერ დაკავებული პოზიციები ყველაზე უფრო უახლოვდება გერმანიის სიმაგრეების განლაგებას, ორივე მხარე საარტილერიო სროლას აწარმოებს“.

**პარიზი,** 19 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტომ გუშინ საღამოს შემდეგი კომუნიკე გადასცა: „შემჩნეულია არტილერიის აქტივობა ფრონტის სხვადასხვა პუნქტში და განსაკუთრებით საარბრიუკენის სამხრეთ რაიონში. ჩვენს საზღვაო ძალებს წარმატებით მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ“.

**ნიუ-იორკი,** 19 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბაზელიდან იუწყება, რომ გერმანიამ მნიშვნელოვან მაშველ ძალებს მოუყარა თავი დასავლეთ ფრონტზე. გერმანიის ჯარმა გააფთრებული იერიშები დაიწყო მდინარე მოზელის ველზე.

**ბერლინი,** 19 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ 19 სექტემბერს დასავლეთ ფრონტზე საარბრიუკენის რაიონის ცალკეულ უბნებში სუსტი საარტილერიო სროლა და აგრეთვე დაზვერვა სწარმოებდა. მტრის ტერიტორიაზე შემჩნეული იყო სანგრების კეთება. საჰაერო ბრძოლა არ ყოფილა.

ბრიტანეთის საადმირალოს განცხადება ინგლისის ავიამზიდის „კორეიჯესის“ ჩაძირვის შესახებ დასტურდება გერმანიის იმ წყალქვეშა ნავის ცნობით, რომელიც თავს დაესხა ამ ავიამზიდს“.

**ლონდონი,** 19 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი დღეს იუწყება, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სუსტ საარტილერიო, თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლას, წარსული დღე-ღამე დასავლეთ ფრონტზე შედარებით მშვიდობიანად გავიდა. გერმანიის ჯარს პოლონეთის ფრონტიდან კვლავ მოსდის ჯარისა და ავიაციის ძლიერი მაშველი ძალები. გერმანიის სარდლობა ფრონტის ხაზის გასწორების მიზნით ახდენს ჯარის სტრატეგიულ გადაყვან-გადმოყვანას, ამასთან სცლის და აფეთქებს მთელ რიგ პატარა სოფლებს. სამხედრო მიმომხილველნი ჰფიქრობენ, რომ გერმანიის ჯარის ნაწილობრივ უკან დახევას მიზნად აქვს უზრუნველჰყოს გერმანიის არტილერიისათვის, რომელიც ზიგფრიდის ხაზს იცავს, უფრო მარჯვე პოზიციები, რათა ძლიერი ცეცხლის ფარდა შეუქმნას მოწინააღმდეგის წინამავალ ჯარს. საფრანგეთის ჯარი უშუალოდ მიადგა ბინვალდის ტყეს, ვისემბურგის აღმოსავლეთით, რეინსა და მოზელს შუა მდებარე ფრონტის აღმოსავლეთ ნაწილში. ეს ტყე გაჭიმულია 15 მილზე ვისემბურგსა და რეინს შორის. ჰფიქრობენ, რომ საფრანგეთის ჯარის წინსვლამ ამ რაიონში მიაღწია იმ საზღვარს, რომლის იქითაც გერმანიის სარდლობა სერიოზული წინააღმდეგობის გაუწევლად ველარ შესძლებს გერმანიის ტერიტორიის დათმობას.

# ინგლის-გერმანიის ომი ზღვაზე

**ბერლინი,** 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც უკვე ვიტყობინებოდით, გერმანიის წყალქვეშა ნავმა ამ დღეებში ჩასძირა ინგლისის გემი „ფანად ჰედი“ 5.200 ტონა წყალწყვისა.

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ამჟამად მოჰყავს ახალი ცნობები, რომელთა თანახმად გერმანიის წყალქვეშა ნავს ამ გემის წინააღმდეგ ოპერაციების დროს, თავს დაესხა ინგლისის ორი თვითმფრინავი, რომლებიც მოქმედების ადგილას ინგლისის ავიამზიდიდან „არკ როიალიდან“ მოფრინდნენ. მაგრამ ეს თვითმფრინავები ჩამოაგდო წყალქვეშა ნავმა, რომელმაც თვითმფრინავების ეკიპაჟიდან გადაარჩინა ორი ინგლისელი ოფიცერი.

○

**ბერლინი,** 18 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 15 სექტემბრისათვის გერმანელებმა ჩასძირეს ინგლისის 30 გემი დაახლოებით 190 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა.

# ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს განცხადება

**ლონდონი,** 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამასწინათ გერმანიის რადიოსადგურმა გამოაქვეყნა გაზეთ „ინდეპენდანს ბელჟის“ პარიზელი კორესპონდენტის ცნობა, რომელშიც იმოწმებდნენ ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს განცხადებას, რომ ინგლისის მიზანი ამ ომში არის პოლონეთის სრული აღდგენა, მათ შორის პოლონეთის მიერ დანციგის ანექსია, აგრეთვე სრული აღდგენა ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიისა და სხვ. ამასთან დაკავშირებით, ინფორმაციის სამინისტრომ გუშინ, საღამოს განაცხადა, რომ, როგორც ამ ფაქტის გამოკვლევამ ცხადჰყო, გერმანიის ეს რადიოცნობა, ისევე როგორც ამისი მსგავსი მრავალი სხვა ცნობა, მოკლებულია ყოველსავე საფუძველს. „უნდა გავიხსენოთ, იუწყება სააგენტო, რომ ინგლისის მთავრობას ჯერ კიდევ არ განუსაზღვრავს ზუსტად ომის ამოცანები, თუმცა ჩემბერლენის უკანასკნელ განცხადებებში განმარტებული იყო ზოგიერთი გარკვეული პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ამოცანებს“.

# უცხოეთის პრესა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა შესახებ

## გერმანია

**ბერლინი,** 18 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის პრესა ფართოდ ეხმაურება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვას. გერმანიის გაზეთების დღევანდელი ნომრების პირველი გვერდები სავსეა ცნობებით დასავლეთ ბელორუსიასა და დასავლეთ უკრაინაში საბჭოთა ჯარის შესვლის შესახებ. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ მოწინავე სტატიაში „აღმოსავლეთ ევროპის ახალი კანონი“, რომელიც ეხება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას — დაიცვას პოლონეთში მოსახლე მონათესავე ბელორუსი და უკრაინელი ხალხები, მიესალმება საბჭოთა მთავრობის მოქმედებას. „ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მოსკოვის გადაწყვეტილებას, — სწერს გაზეთი, — რომელიც ეყრდნობა აღმოსავლეთ პოლონეთის მოსახლეობისა და მის მოსაზღვრე მოკავშირე რესპუბლიკათა — ბელორუსიისა და უკრაინის მოსახლეობის სისხლით ნათესაობას“.

„ფელკიშერ ბეობახტერი“ ჰბეჭდავს მოსკოვიდან მიღებულ ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებამ — დაიცვას პოლონეთის უკრაინელები და ბელორუსები, აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა ხალხში და ფართო მოწონება ჰპოვა მთელს საბჭოთა ქვეყანაში. მოსკოვში, — ნათქვამია ცნობაში, — აბსოლუტურად დამშვიდებული სულიერი განწყობილება სუფევს, ხალხი ჩვეულებრივ საქმეებს აკეთებს და შეშფოთების სულ მცირე ნიშნებსაც არ იჩენს. შემდეგ კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ მთელს საბჭოთა ქვეყანაში იმართება მოსახლეობის მიტინგები ფაბრიკებში, ქარხნებსა და სამხედრო ნაწილებში. ხალხი ყველა მიტინგზე, — ნათქვამია ცნობაში, — აღფრთოვანებით მიესალმება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას. მთელი საბჭოთა ხალხი მოითხოვს პოლონეთში მოსახლე მონათესავე უკრაინელი და ბელორუსი ხალხების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

○

**ბერლინი,** 18 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „მონტაგი“ ათავსებს ცნობას პოლონეთის მოსკოველი ელჩისათვის გადაცემული საბჭოთა ნოტის შესახებ. შემდეგ მთლიანად მოყვანილია ნოტის ტექსტი. გაზეთი სწერს, რომ საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის ფაქტიდან გამოიტანა სავსებით კანონზომიერი დასკვნა — საკუთარი ძალით დაიცვას თავისი მონათესავე ნაციონალური უმცირესობანი დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობას არ აღმოაჩნდა სასიცოცხლო უნარი და მოსკოვმა ამ ფაქტიდან სათანადო დასკვნა გამოიტანა და მთელი მსოფლიოს წინაშე განაცხადა, რომ პოლონეთის სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს.

## რუმინეთი

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტი ბუქარესტიდან იუწყება: „რუმინეთი დაკავშირებულია პოლონეთთან სამხედრო შეთანხმებით დახმარების შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოირკვა პოლონეთში საბჭოთა არმიის შეყვანის მიზეზთა საბჭოური დასაბუთება, რუმინეთი კვლავ განაგრძობს მტკიცე ნეიტრალიტეტის პოლიტიკას“.

○

**ბუქარესტი,** 19 სექტემბერი (საკდესი). გუშინ რადიოთი გადაცემულ იქნა ამხ. მოლოტოვის სიტყვა და საბჭოთა მთავრობის ნოტა პოლონეთისა და სხვა ელჩებისადმი. დღეს ყველაფერი ეს გამოქვეყნებულია რუმინეთის პრესაში. გაზეთ „კურენტულის“ რედაქტორი შეიკარუ კომენტარიას უკეთებს საბჭოთა ჯარის მიერ პოლონეთის საზღვარზე გადასვლას და სწერს: „გერმანიასა და პოლონეთს შორის მთელი კონფლიქტის განმავლობაში საბჭოთა კავშირი მტკიცე ნეიტრალიტეტის პოზიციას იცავდა. პოლონეთის არმიის ოპერაციებს სრულებითაც არ უშლიდა ხელს რაიმე მუქარა აღმოსავლეთიდან. საბჭოთა კავშირის მტკიცე ნეიტრალიტეტის პოზიციამ საშუალება მისცა პოლონეთს მთელი თავისი ძალები გერმანიის წინააღმდეგ მიემართნა. მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. პოლონეთის არმია გაურბოდა გადამწყვეტ ბრძოლას და განუწყვეტლივ უკან იხევდა საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ, რამაც საბჭოთა მთავრობას შეაცვლევინა შექმნილი მდგომარეობა. რუმინეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ზრუნვა, რასაც საბჭოთა კავშირი იჩენს იმისათვის, რათა მისი ახლანდელი მოქმედება გაგებულ იქნას, როგორც ისეთი საქციელი, რომელიც ჩადენილია პოლონეთის სახელმწიფოს გაქრობის შემდეგ. საბჭოთა კავშირის ეს კატეგორიული პოზიცია, რომელიც დაზუსტებულია ნეიტრალიტეტის შესახები განცხადებებით ჩვენგან მოითხოვს, რათა უფრო მჭიდრო, უშუალო კავშირი დავამყაროთ მოსკოვთან“. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების სპეციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ, თავშესაფარს აძლევს რა ყოფილს პოლონეთის მთავრობას, რუმინეთი მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავს.

## ესტონეთი

**ტალინი,** 18 სექტემბერი (საკდესი). ამხ. მოლოტოვის სიტყვა ესტონეთის მრავალმა მოქალაქემ მოისმინა რადიოთი.

პოლონეთის უკრაინელთა და განსაკუთრებით ბელორუსთა ცხოვრების პირობებს კარგად იცნობენ ესტონელები. ესტონეთის ყანებში მუშაობდა პოლონეთიდან ჩამოყვანილი რამდენიმე ათასი მოჯამაგირე, ნახევარი მათგანი ბელორუსი იყო. ესტონელები განცვიფრებული იყვნენ ბელორუსთა კულტურული ჩამორჩენილობით, მათი უწიგნურობით, სიღატაკითა და ველურობით. ესტონეთის ინტელიგენცია იმ აზრისაა, რომ წითელი არმიის მისვლა ბელორუსთა და უკრაინელთათვის არის ხსნა გაველურებისა და ჩაგვრისაგან, რაც მათ თავს მოახვია პოლონეთის უხეირო მთავრობამ.

აქ აღნიშნავენ, რომ რიძ სმიგლის ჰქონდა 15.000 ჰექტარი მიწა, ხოლო მისი გლეხები დიდრონი ოჯახებითურთ ნახევარ ჰექტარზე იყვნენ შეხიზნულნი.

ესტონეთის დღევანდელი გაზეთები პირველ გვერდზე მთლიანად ჰბეჭდავენ ამხ. მოლოტოვის რადიოთი წარმოთქმულ სიტყვას და იმ ნოტების ტექსტებს, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოთა ელჩებსა და პოლონეთის ელჩს გადაეცა.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი არავითარ გართულებას არ იწვევენ ესტონეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში. აღნიშნავენ, რომ საბჭოთა რუსეთისა და ესტონეთის ურთიერთობაში არცერთი სადაო საკითხი არ არის.

## ფინეთი

**ჰელსინკი,** 17 სექტემბერი (საკდესი). მიუხედავად იმისა, რომ დღეს კვირაა, ჰელსინკში გაზეთების საგანგებო ნომრები გამოვიდა.

ფინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოსცემს ამხ. მოლოტოვის სიტყვას. განსაკუთრებით ხაზგასმულია საბჭოთა მთავრობის მეთაურისა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის სიტყვები იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მოვალეობაა დაეხმაროს თვისტომ ძმებს ბელორუსებსა და უკრაინელებს და რომ საბჭოთა ქვეყნის მთელი მოსახლეობა დარაზმულია მთავრობის გარშემო და მთლიანად მხარს უჭერს თავის არმიას.

სააგენტო გადმოსცემს აგრეთვე მოსკოვიდან მიღებულ ცნობას, რომ ფინეთის ელჩს მოსკოვში გადასცეს ამხ. მოლოტოვის ნოტა, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას დაიცავს ფინეთის მიმართ.

## ლიტვა

**კაუნასი,** 18 სექტემბერი (საკდესი). „ლიეტუვოს აიდასის“ დილის გამოშვებაში და ლიტვის სხვა გაზეთებში გამოქვეყნებულია ამხანაგ მოლოტოვის სიტყვის სრული ტექსტი და პოლონეთის ელჩისა და მოსკოვში აკრედიტებული ყველა ელჩისა და დესპანისათვის გადაცემული ნოტების შინაარსი.

„ლიეტუვოს აიდასი“ სწერს: „სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ მოლოტოვმა, რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში, სადაც მან ილაპარაკა საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის საზღვარზე გადასვლის შესახებ, რათა დახმარება აღმოეჩინათ უკრაინელთა და ბელორუსთათვის, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის მომავალში დაცული იქნება“.



# მდგომარეობა პოლონეთში

**ნიუ-იორკი,** 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი პოლონეთში ბიდლი 17 სექტემბერს ჩერნოვიციდან ბუქარესტს გაემგზავრა. ჰფიქრობენ, რომ სხვა დიპლომატებიც სტოვებენ ჩერნოვიცს. პოლონეთის მთავრობა, საგარეო საქმეთა მინისტრის ბეკის ჩათვლით, გუშინ ნაშუადღევს გაიქცა რუმინეთში. სააგენტო აღნიშნავს, რომ დიპლომატიური წრეების განცხადებით პოლონეთის პრეზიდენტი მოსციცკი და პოლონეთის მთავრობის 10 სხვა წევრი გაიქცა ბუქარესტში, ან შესაძლოა, ევროპის სხვა დედაქალაქში, სადაც მდგომარეობა ახლა უფრო მყუდროა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ჩერნოვიციდან იუწყება, რომ იქ ჩავიდა პოლონეთის პრეზიდენტი მოსციცკი, რაც სააგენტოს აზრით, მოწმობს პოლონეთიდან მთავრობის წასვლას. შემდეგ სააგენტო აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობა საზღვარგარეთ იპარება. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ჩერნოვიცის აეროდრომზე დაეშვა პოლონეთის 75 თვითმფრინავი. თვითმფრინავების ეკიპაჟი დაპატიმრებულია.

რუმინეთის მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთის მთავრობასთან აკრედიტებულ 37 ქვეყნის დიპლომატებს ჩერნოვიციდან წავიდნენ ბუქარესტში ან თავის სამშობლოში.

იუნაიტედ პრესის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, სამხედრო და დიპლომატიური წრეების აზრით, შესწყდა პოლონეთის სახელმწიფოს არსებობა.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მდივანი პოლონეთში ჰარისონი უკანასკნელი დიპლომატი იყო, რომელმაც დასტოვა ზალეშჩიკი; იგი იუწყება, რომ პოლონეთის ავიაგამანადგურებლები, ისე გადაფრინდნენ რუმინეთში, რომ არც კი შეეცადნენ მოეგერიებინათ გერმანიის ყუმბარამტყორცნების თავდასხმა ზალეშჩიკზე.

# პოლონეთის წყალქვეშა ნავები ტალინის ნავსადგურში

**ლენინგრადი,** 18 სექტემბერი (საკდესი). სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობის თანახმად, პოლონეთის წყალქვეშა ნავები თავშეფარებული არიან ბალტიის მხარის სახელმწიფოთა ნავსადგურებში, სადაც მათ ფარულ დახმარებას უწევს მთავრობის ზოგიერთი პირი. მიღებულია ცნობები, რომ, გარდა პოლონეთის წყალქვეშა ნავებისა, ამ ნავსადგურებში იმალებიან ზოგიერთი სხვა სახელმწიფოთა წყალქვეშა ნავებიც. 18 სექტემბერს პოლონეთის ერთერთი წყალქვეშა ნავი, რომელიც წინათ ინტერნირებული იყო ტალინის (ესტონეთის) ნავსადგურში გაიქცა უცნობი მიმართულებით და მიიმალა. ჰფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წაყრუებას ესტონეთის ხელისუფლების მხრით. ბალტიის საბჭოთა ფლოტის სარდლობა ზომებს იღებს ბალტიის წყლებში დამალული წყალქვეშა ნავების მხრით შესაძლო დივერსიათა წინააღმდეგ.

# სარაჯოღლუს მომავალი დარბაზობა მოსკოვში

**ანკარა,** 17 სექტემბერი (საკდესი). ანატოლიის სააგენტო შემდეგ ცნობას გადმოგვცემს: „პასუხად საბჭოთა მთავრობის მიპატიჟებისა საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ მოსკოვს გაემგზავრება საპასუხო დარბაზობისათვის.

მოსკოვში მისი ყოფნის დროს გაიმართება მოლაპარაკება ორივე სახელმწიფოსათვის საინტერესო საკითხებზე“.

**რომი,** 18 სექტემბერი (საკდესი), სტეფანის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ „თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სარაჯოღლუს გამგზავრება მოსკოვს დანიშნულია 20 სექტემბერს. საგარეო საქმეთა მინისტრი ანკარას დასტოვებს 19 სექტემბერს საღამოს და სტამბოლიდან ოდესას გაემგზავრება საბჭოთა გემით“.

# უკრაინელთა დევნა პოლონეთის სამხედრო ხელისუფლების მიერ

**ბერლინი,** 18 სექტემბერი (საკდესი). რიგიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის სამხედრო ხელისუფლება კვლავ სდევნის უკრაინელ მოსახლეობას და ტერორის ქვეშ ჰყავს იგი. პოლონეთის სამხედრო ხელისუფლებამ სასტიკი ღონისძიებანი შემოიღო უკრაინელთა წინააღმდეგ. პოლონეთის პოლიციამ „შავი სიის“ საფუძველზე ლვოვში დააპატიმრა 80 უკრაინელი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელნიც მძევლებად არიან გამოცხადებულნი. აღმოსავლეთ გალიციის მთელ რიგ სხვა რაიონებში პოლონეთის პოლიცია მრავალ უკრაინელს აპატიმრებს. დაპატიმრებული უკრაინელები უცნობი მიმართულებით მიჰყავთ. ლვოვში დაანგრიეს უკრაინელთა მრავალრიცხოვანი სახლები, დაამსხვრიეს მათი სახლების მოწყობილობა. მთელ რიგ ადგილებში უკრაინელი მოსახლეობა ირაზმება, რათა იარაღით დაიცვას თავისი ინტერესები პოლონელ ბანდებისაგან. ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ლვოვის ქუჩებში სროლა მოხდა პოლონეთის პოლიციასა და თავდაცვაზე გადასულ უკრაინელ მოსახლეობას შორის.

# 26 კომისარი

## 1918 $\frac{20}{\mathrm{IX}}$ 1939

**დაამარცხეს რა გერმანია და ავსტრია, ანტანტის სახელმწიფოებმა, გადასწყვიტეს გადმოესროლათ დიდი სამხედრო ძალები საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ... ანტანტის ინტერვენტთა პარბაში ოკუპირებულ ოლქებში ისეთ გამხეცებამდე მივიდა, რომ ისინი არ ჩერდებოდნენ მუშათა და გლეხთა მთელ ჯგუფებთან იარაღით ანგარიშის გასწორების წინაშე. ბოლოს, თურქესტანის ოკუპაციის შემდეგ, ინტერვენტთა თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მათ კასპიის ზღვის იქითა მხარეში წაიყვანეს ბაქოს 26 ხელმძღვანელი ბოლშევიკი — ამხანაგები შაუმიანი, ფიოლეტოვი, ჯაფარიძე, მალიგინი, აზიზბეკოვი, კორგანოვი და სხვები და ესერების დახმარებით მხეცურად დახვრიტეს ისინი.**

(საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან).

★

გვინდოდა გულდასმით გავცნობოდით ამ შესანიშნავ გამოფენას. შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიპყრო მხატვარ ბროდსკის ცნობილმა სურათმა — „26 კომისრის დახვრეტა“.

რა ოსტატურად შესრულებული სურათია და ამავე დროს რა შემაძრწუნებელი! ჩვენს წინაშე გადაიშალა საშინელი სურათი, რომელიც დატრიალდა იმიერკასპიის მხარეს 1918 წლის 20 სექტემბერს.

არ შეგვიძლიათ დამშვიდებით უცქიროთ ამ ამაღელვებელ დოკუმენტებს, რომლებიც ცოცხლად მოგვითხრობენ ბაქოს 26 კომისართა შესანიშნავ წარსულზე, ბაქოს ბოლშევიკების უმაგალითო გმირულ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ინგლისელ ინტერვენტებისა, და ესერ-მენშევიკების მოღალატურ მუშაობაზე.

გინდათ საფუძვლიანად გაეცნოთ ამ დოკუმენტებს, რადგან აქ თვითეული წვრილმანიც კი უაღრესად საგულისხმოა.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) შაუმიანის სახელობის პარტისტორიის ინსტიტუტმა შარშან ბაქოში მოაწყო ეს გამოფენა.

სამ მოზრდილ დარბაზში გამოფენილია საუკეთესო მხატვრების ნამუშევარი, ფოტოდოკუმენტები და სხვა საინტერესო მასალები ბაქოს 26 კომისართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ვათვალიერებთ პირველ სურათებს. ჩვენს თვალწინ გადაიშალა რევოლუციამდელი აზერბაიჯანული ჩამორჩენილი და დაბეჩავებული სოფელი. წელში მოხრილი გლეხი, რომელიც გაუტეხია ბეგებისა და აღალარების მხრით ჩაგვრას. აქვეა სურათები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ უსიხარულოდ მიდიოდნენ დღეები ნავთის სარეწაოებში.

24 ოქტომბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც შორეულ პეტროგრადში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ბაქოს გაზეთი „იზვესტია ბაკინსკოგო სოვეტა“ სწერდა: „დამონებული და დამშეული ულარიბესი გლეხობის, რევოლუციურ ჯარისკაცების, მეზღვაურების და მუშების მასების მთელი თანაგრძნობა და სიმპატიები საბჭოების მხარეზეა... მთელი ძალაუფლება უნდა გადავიდეს ხალხის უდიდესი უმრავლესობის ორგანოების — საბჭოების ხელში“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხი ირჩეოდა ბაქოს საბჭოს სხდომაზე 31 ოქტომბერს. რევოლუციურად განწყობილი ბოლშევიკი დეპუტატები მოითხოვდნენ პეტერბურგელი ამხანაგებისათვის მხარის დაჭერას, ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. ბოლშევიკებმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა ხმის აბსოლუტური უმრავლესობით.

სახკომსაბჭო 1917 წლის 16 დეკემბერს იხილავს კავკასიაში არსებული მდგომარეობის საკითხს. მოხსენებას აკეთებს ამხანაგი სტალინი. მისი წინადადებით სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამხ. სტეფანე შაუმიანის კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშვნის შესახებ.

წარმოდგენილია ფოტოასლი დოკუმენტისა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ულიანოვის (ლენინი), ი. ჯუღაშვილის (სტალინი) ხელმოწერით.

ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სტეფანე შაუმიანი დანიშნულია კავკასიის დროებითი საგანგებო კომისრად კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შექმნამდე.

სახკომსაბჭო იმავე სხდომაზე ამხ. შაუმიანს აძლევს 500 ათას მანეთს მუშაობისათვის.— ფული და მანდატი შაუმიანისათვის გადასაცემად მიაქვს ამხ. კამოს.



ბაქოს სახკომსაბჭოს სხდომა 1918 წ.

მხატვ. გ. პოლოსოვის სურათი.

○

ბაქოს საბჭო დღითიდღე მტკიცდება, ბაქოს პროლეტარიატი უფრო-დაუფრო ირაზმება ბოლშევიკების გარშემო. აქვეა გამოფენილი შესანიშნავი დოკუმენტები, რომლებიც ლაპარაკობენ იმ უდიდეს პრაქტიკულ მუშაობაზე, რაც ჩაატარა ბაქოს საბჭომ თავის სახელოვანი ხელმძღვანელების შაუმიანის, ა. ჯაფარიძის, აზიზბეკოვის და სხვ. მეთაურობით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დეკლარაცია, რომელიც გამოვიდა ბაქოს სახკომსაბჭოს შექმნასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ბაქოს საბჭოს სხდომაზე 25 აპრილს არჩეულ იქნა ბაქოს სახკომსაბჭო. დეკლარაციაში განმარტებულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ფუნქციები და სახალხო კომისართა საბჭოს, როგორც აღმასრულებელი ორგანოს, მოვალეობანი.

საინტერესოა დედანი განცხადებისა, რომელიც გამოკრული იყო ბაქოს ქუჩებში. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საბუნჩის ამბულატორიაში 3 მაისს სრულ 4 საათზე შესდგება ს. შაუმიანის მოხსენება ბაქოს სახკომსაბჭოს და მისი ამოცანების შესახებ. შესასვლელი ფასი 50 კაპ.“.

როდესაც ბაქოს კომუნას ემუქრება მენშევიკებისა და მუსავატელების საზიზღარი ხროვა, ბაქოს საბჭო იძულებულია გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებანი წითელი არმიის რეგულარული ნაწილების შექმნისათვის.

აი, რევოლუციონური თავდაცვის კომიტეტის 6 აპრილის დადგენილება, რომელიც ყოველ კომერციულ ბანკებს, სავაჭრო ფირმებს აწერს გადასახადს 50 მილიონი მანეთის რაოდენობით. როგორც სჩანს, ნავთის მრეწველები საბოტაჟს ეწეოდნენ. რევოლუციური თავდაცვის კომიტეტის წევრების ხელისმოწერით გაცემულია ორდერი ამხ. ანასტას მიქოიანის სახელზე ნავთის მრეწველების დაპატიმრების შესახებ.

ნავთის სარეწაოთა 5 ფირმის მეთაური — ტაგიანოსოვი, გუკასოვი და სხვ. დაპატიმრებულ იქნენ. ამ ზომამ შედეგი გამოიღო. 50 მილიონი გადასახადი შემოტანილ იქნა. რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი შეუდგა შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას. მეტად საინტერესოა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოშვებული დეკრეტები ნავთის მრეწველებისა და სხვა დარგების ნაციონალიზაციის შესახებ.

ყურადღებას იპყრობს მანდატი, გაცემული ამხანაგ ანასტას მიქოიანის სახელზე ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ს. შაუმიანის ხელმოწერით.

„ამის წარმომდგენს ანასტას მიქოიანს ბაქოს სახკომსაბჭოსაგან დავალებული აქვს 29/16 აპრილს დღისით სრულ 12 საათისათვის დაიკავოს რუსეთის საგარეო (სავაჭრო) ბანკში და კერძოდ საკუჭნაოში, სადაც ინახება სეიფები, შესასვლელი და გასასვლელები და დაუცადოს სახკომსაბჭოს წარმომადგენელთა მისვლას“.

აქვეა ამხანაგების ლენინისა და სტალინის დეპეშები, რომლებიც იწონებენ ბაქოს კომისრების გაბედულ ღონისძიებებს.

მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენს მხატვარ რიჟენკოს სურათი — აზერბაიჯანელი გლეხები არბევენ მემამულის საკუთრებას. ბაქოს საბჭომ განახორციელა აზერბაიჯანის გლეხების დიდიხნის ოცნება — მიწის სოციალიზაციის შესახებ. მიწის რეფორმის გასატარებლად იქმნება კომიტეტები. აზერბაიჯანის გლეხობაში დღითიდღე იზრდება სიმპატიები საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

მუსლიმანი გლეხების დასარაზმავად უდიდეს მუშაობას ატარებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე და საგუბერნიო კომისარი მეშადი აზიზბეკოვი.

შესანიშნავია მხატვარ გერასიმოვის სურათი— აზიზბეკოვი მგზნებარე სიტყვით გამოდის მუშათა მიტინგზე.

მეორე დარბაზში გამოფენილია დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა გმირულად იბრძოდნენ ბაქოს პროლეტარები ბოლშევიკების მეთაურობით ინგლისელი ინტერვენტებისა ესერ-მენშევიკების და მუსავატისტთა ბანდების წინააღმდეგ.

დაძაბულ ყურადღებით ათვალიერებ ვ. ლენინისა და ი. სტალინის მიერ გამოგზავნილ დეპეშებს. ამხანაგი სტალინი, რომელიც ამ პერიოდში ცარიცინში იმყოფებოდა და გართული იყო უაღრესად პასუხსაგებ სახელმწიფოებრივ დავალებათა შესრულებით, მაინც შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა კომუნას.

მისი დეპეშები ცარიცინიდან მორალურად ამხნევებდნენ ბაქოს პროლეტარებს, უნერგავდნენ გამარჯვების რწმენას.

29 ივნისს ლენინი სწერს შაუმიანს: „გიგზავნი საუკეთესო სალამს და სურვილებს. სტალინი ცარიცინშია. უმჯობესია წერილები გზავნოთ სტალინის საშუალებით. სალამი. თქვენი ლენინი“.

სამხედრო მოქმედებათა რუკა მთელ სიცხადით გვიჩვენებს საქმის იმ რთულ ვითარებას, რომელშიც ბაქოს პროლეტარებს უხდებოდათ საბჭოთა ხელისუფლების დაცვა და ირგვლივ შემოსეული მტრის იერიშების მოგერიება.

არ შეიძლება აუღელვებლად ათვალიერო ის ექსპონატები, რომლებიც გვიჩვენებენ 1918 წელს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამხობას და იმ საზიზღარ საქმიანობას, რასაც ეწეოდნენ ინგლისის იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტები —ქართველი მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები და მთელი ის კონტრრევოლუციური ხროვა, რომელიც მაშინ თარეშობდა ამიერკავკასიაში.

მესამე დარბაზში უკვე გულისტკივილს გრძნობ. აი კრასნოვოდსკის ციხე, სადაც მოათავსეს ბაქოს კომისრები და სადაც ისინი „ცენტროკასპიის“ მთავრობის გამხეცებული აგენტების მიერ საშინელ დამცირებასა და წამებას განიცდიდნენ. სწორედ ამ ციხიდან წაიყვანეს ღამით 20 სექტემბერს დასახვრეტად ბაქოს სახელოვანი კომისრები...

შემდგომი ექსპონატები სიხარულის და სიამაყის განცდებს იწვევენ. მიღწეულია ის, რაზედაც ოცნებობდნენ ბაქოს გმირი კომისრები.

აი, ახალი ინდუსტრიული აზერბაიჯანი! აი ახალი ნავთის სოციალისტური ქალაქი!

ვ. დევაძე

# გერმანია-პოლონეთის ომი

**ბერლინი**, 18 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ოპერატიული ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

„პოლონეთის განადგურებული ჯარი საერთო დაშლას განიცდის. 17 სექტემბერს გერმანიის ჯარი, რომელიც პოლონეთის სამხრეთ ნაწილში მოქმედებს, წარმატებით უტევდა კრასნოსტავ-მაგეროვის მიმართულებით. ლიუბლინის რაიონში ბრძოლა გრძელდება.

პოლონეთის ჯარს, რომელიც ლიუბლინის აღმოსავლეთით იხევს, გზა მოჭრილი აქვს“.

**ლონდონი**, 18 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო, იმყარება რა ჰავასის ცნობას, იტყობინება, რომ ჩერნოვიცში (რუმინეთი) დაეშვა პოლონეთის 55 თვითმფრინავი.

**ნიუ-იორკი**, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ჩერნოვიციდან (რუმინეთის საზღვარზე) იუწყება, გენერალი რიძ-სმიგლი პოლონეთის მთელს გენერალურ შტაბთან ერთად ჩავიდა რუმინეთში. რუმინეთში გადადიან აგრეთვე პოლონეთის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთა ინტერნირებასაც ახდენენ რუმინეთის ხელისუფალნი. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ჩერნოვიცის პატარა აეროდრომზე გადაეშვა პოლონეთის 202 თვითმფრინავი. აეროდრომი იმდენად გაჭედილია თვითმფრინავებით, რომ ერთი მათგანი დაეშვა სამ სხვა თვითმფრინავზე. ოთხივე თვითმფრინავი დაიმსხვრა.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება ბუქარესტიდან, მოსციცკის, ბეკსა და პოლონეთის სხვა მოღვაწეებს განზრახული აქვთ გაემგზავრონ კონსტანცაში, საიდანაც ისინი საფრანგეთში წავლენ. როგორც სააგენტო იტყობინება, პოლონეთის მოღვაწეთა საჩქაროდ გამგზავრება გამოწვეულია იმით, რომ მათ სურთ თავიდან აიცილონ შესაძლო დემონსტრაციები და ინციდენტები რუმინეთში მათს ყოფნასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება დაარღვიოს რუმინეთის ნეიტრალიტეტი.

**ნიუ-იორკი**, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ჩერნოვიციდან (რუმინეთის საზღვარზე) იუწყება, პოლონეთის არქივები რუმინეთში გადაიტანეს.

**ბერლინი**, 18 სექტემბერი (საკდესი). ალყაშემორტყმულ ვარშავიდან 17 სექტემბერს პოლონეთის რადიომ გამოაქვეყნა ვარშავის კომენდანტის თხოვნა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობისადმი პოლონეთის პარლამენტიორის მიღების შესახებ. გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ ამაზე თანხმობა განაცხადა. 17 სექტემბერს შუადღემდე გერმანიის სარდლობასთან არავითარი პარლამენტიორი არ გამოცხადებულა.

**რომი**, 18 სექტემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტომ რადიოთი გამოაქვეყნა თავისი სპეციალური კორესპონდენტისაგან ვარშავის რაიონიდან მიღებული ცნობა. ამ ცნობაში ნათქვამია: „დღემდე გერმანიის პოზიციებზე პოლონელი პარლამენტიორი არ მოსულა და გერმანიის ულტიმატუმზე პასუხი არ მოუტანია. მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა ბრძანება გასცა დაუცადონ პარლამენტიორებს. გერმანიის ავიაციასა და არტილერიას ქალაქისათვის ჯერ კიდევ არ დაუშენიათ. ამავე დროს ვრცელდება ხმები, რომ ვარშავაში აჯანყებამ იფეთქა, რადგან სამოქალაქო მოსახლეობის ერთ ნაწილს სურს დანებდეს. მიუხედავად ამისა, სამხედრო პირებს უნდათ კვლავ გასწიონ წინააღმდეგობა და აიძულონ ვარშავის მცხოვრებნი გასწირონ ქალაქი“.

**ბერლინი**, 18 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ 18 საათზე გერმანიის რადიომ გერმანულ და პოლონურ ენაზე გამოაქვეყნა პასუხი ვარშავის კომენდანტისადმი მის წინადადებაზე გერმანიის სარდლობასთან მოსალაპარაკებლად პოლონეთის პარლამენტიორის გაგზავნის შესახებ.

გერმანიის პასუხში ნათქვამია:

„თქვენს თხოვნაზე გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა გიპასუხებთ: ვარშავის პარლამენტიორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელს მოველით 17 სექტემბერს შუა-ევროპის დროით 22 საათზე გერმანიის ავანპოსტების ხაზზე პრაღა-მინსკ-მაზოვეცკის გზასთან (ვარშავის გარეუბნები). პარლამენტიორთა ავტომანქანებს უნდა ექნეთ განათებული თეთრი ბაირაღები და მთელი სინათლე. პოლონელთა მხარემ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ გზის მარჯვნითა და მარცხნით 2000 მეტრზე სრული საომარი სიმშვიდე სუფევდეს. გერმანელთა მხარე აგრეთვე იზრუნებს ამისათვის. ამ ცნობის მიღება დადასტურებულ უნდა იქნას რადიოთი დაუყოვნებლივ“.

**ლონდონი**, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს შუადღისას პოლონეთის 60-მდე თვითმფრინავი დაეშვა დუგავპილსში (დვინსკი, ლატვია). ბევრი თვითმფრინავი სერიოზულადაა დაზიანებული. სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ პოლონეთის ჯარის ნაწილებმა იწყეს გადასვლა ლატვიის საზღვარზე, სადაც მათ იარაღს ჰყრიან და ახდენენ მათს ინტერნირებას.

**ბერლინი**, 18 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ოპერატიული ცნობა, სადაც ნათქვამია:

„საომარი მოქმედება პოლონეთში მალე დამთავრდება. გერმანიის ჯარმა ლიუბლინი დაიკავა. ლვოვის სრული გარშემორტყმისა და ლიუბლინის დაკავების შემდეგ პოლონეთში გერმანიის ფრონტის საზღვრები გადის ლვოვზე — ვლადიმირ-ვოლინსკიზე — ბრესტ-ლიტოვსკსა და ბელოსტოკზე. პოლონეთის დაკავებულ ტერიტორიაზე გერმანიის ჯარი განაგრძობს ყოფილი პოლონეთის არმიის ცალკეული დაქსაქსული ნაშთების ლიკვიდაციას და ტყვედ მიჰყავს ისინი.

ვიშოგრუდის რაიონში, მდინარე ბზურასა და ვისლას შუა (პოლონეთის ცენტრში) გარშემორტყმული პოლონეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარის (დაახლოებით პოლონეთის არმიის მეოთხედი) ლიკვიდაცია მალე დამთავრდება.

გერმანიის ავიაციამ მთელი 17 სექტემბრის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო სახმელეთო ბრძოლაში ვიშოგრუდის რაიონში. პოლონეთის თვითმფრინავები აღარ სჩანან მთელს ფრონტზე. გერმანიის ავიაციამ ღამით ძირითადად შეასრულა ამოცანები, რომლებიც მის წინაშე იყო დასმული პოლონეთის ფრონტზე“.

**ნიუ-იორკი**, 17 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ კორესპონდენტი ზალეშჩიკიდან (პოლონეთი) იუწყება, რომ ინგლისელი მწერალი-ქალი კლერ ჰოლინგსუორტი პოლონეთში ორი კვირის ყოფნის შემდეგ ასე აღწერს პოლონეთის მდგომარეობას:

„პოლონეთის არმია სავსებით დემორალიზებულია. ჯარისკაცები უჭმელ-უსმელი დაეხეტებიან. ყველგან სურსათის ნაკლებობაა. პოლონეთში სძაგთ ინგლისელები, რომოელთაც ბრალს სდებენ, რომ მათ მეტად გვიან დაიწყეს ომი და საწვავი მასალა არ მიაწოდეს პოლონეთს. განსაკუთრებით ანტიბრიტანულად არიან განწყობილი პოლონელი სამხედრო პირები“.

## ინგლისის ავიამზიდის ჩაძირვა

**ლონდონი**, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა ინგლისის ავიამზიდი „კორეიჯესი“, რომლის წყალწყვა 22.500 ტონას უდრის. ეს ავიამზიდი აგებულ იქნა ჯერ კიდევ 1917 წელს და მოდერნიზებულია ომის შემდეგ. ამა წლის აგვისტოში იგი ჩაირიცხა სარეზერვო ფლოტის შემადგენლობაში და ომის დაწყების შემდეგ გამოყენებულ იქნა სავაჭრო ნაოსნობის დასაცავად წყალქვეშა ნავთა თავდასხმისაგან. ავიამზიდის ეკიპაჟი გადაარჩინეს ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებმა და სავაჭრო გემებმა. წყალქვეშა ნავზე იერიში მიიტანეს საესკადრო ნაღმოსნებმა და, როგორც ჰფიქრობენ, იგი ჩაიძირა.

## ესტონეთის ხელისუფლება უარჰყოფს

**ტალინი**, 18 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ ესტონეთის ხელისუფლება კატეგორიულად უარჰყოფს სტოკჰოლმში გუშინ გამოქვეყნებულ ცნობას ვითომდა იმ შეშფოთების შესახებ, რომელიც ესტონეთში გამოიწვია საბჭოთა ჯარის შესვლამ პოლონეთში და საბჭოთა მოტორიზებული ნაწილების კონცენტრაციამ ესტონეთ-რუსეთის საზღვარზე. უარყოფაში ნათქვამია, რომ „არანორმალური არაფერია აღნიშნული“.

## ინგლისის წინადადება რუმინეთისადმი

**ბერლინი**, 17 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის ტრანსოცეანის სააგენტო გადმოგვცემს ბუქარესტიდან მიღებულ ცნობას, სადაც აღნიშნულია, რომ ინგლისის მთავრობამ რუმინეთს მიჰმართა მოთხოვნით, რაც შეიძლება მეტი პოლონელი ლტოლვილი მიიღეო, მაგრამ რუმინეთი ინგლისის მთავრობის სურვილს სიფრთხილით ეკიდება.

## პოლონეთის თვითმფრინავები ესტონეთში

**რომი**, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო რადიოთი იუწყება, ტარტუში (ესტონეთი) დაეშვა პოლონეთის ოცამდე თვითმფრინავი. თვითმფრინავებს მცველები მიუყენა ესტონეთის ხელისუფლებამ. თვითმფრინავების ეკიპაჟი ინტერნირებულია.

## ესტონეთის საზღვაო ფლოტის სარდლის გადაყენება

**ტალინი**, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც ესტონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ესტონეთის საზღვაო ფლოტის სარდალი და ფლოტის შტაბის უფროსი რეზერვში გადარიცხეს.

## პოლონეთიდან ლატვიასა და ლიტვაში გარბიან

**ბერლინი**, 19 სექტემბერი (საკდესი). რიგიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის 64 თვითმფრინავი დაუგავპილსში (ლატვია) ჩავიდა. ამ უკანასკნელ დღეებში ლიტვისა და ლატვიის საზღვრებზე გადავიდა პოლონეთიდან გაქცეული ათასობით პოლონელი ჯარისკაცი.

## სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა ლიტვასა და პოლონეთს შორის

**კაუნასი**, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც ლიტვის სააგენტო იუწყება, პოლონეთსა და ლიტვას შორის შესწყდა სარკინიგზო მიმოსვლა.

## უცხოელი დიპლომატები ჩერნოვიცში

**რომი**, 18 სექტემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო ჩერნოვიციდან იუწყება, რომ იქ დღეს დილით უნდა მომხდარიყო პოლკოვნიკ ბეკის თათბირი ვარშავაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. მაგრამ რუმინეთის მთავრობამ არ დართო ნება მოეწყოთ ეს თათბირი.

სააგენტო იუწყება, რომ დიპლომატიური კორპუსი დღეს დასტოვებს ჩერნოვიცს.

## პოლონელი ლტოლვილები რუმინეთში

**ბუქარესტი**, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პოლონელ ლტოლვილთა რიცხვი რუმინეთში ამჟამად 4.500 კაცს აღწევს; ლტოლვილთა უმეტესი ნაწილი პოლონეთის არისტოკრატიას ეკუთვნის.

10.000 პოლონელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელიც საზღვარზე გადმოვიდა, განიარაღებული და ინტერნირებულია.

„სტუმართმოყვარეობის წესების შესაბამისად, — სწერს სააგენტო,— რუმინეთის მთავრობამ შემდეგი საცხოვრებელი ადგილები მიუჩინა: მოსციცკის — ბიკაზი (მოლდავეთი), რიძ-სმიგლის—კრაიოვა, სხვა პოლონელ პოლიტიკურ მოღვაწეებს — ლანიკი (მოლდავეთი)“.

## რუმინეთის მინისტრთა საბჭოს ცნობა

**რომი** 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო ბუქარესტიდან იუწყება, რუმინეთის მთავრობამ განაცხადა თავისი „მტკიცე განზრახვის შესახებ, მკაცრი ნეიტრალიტეტი დაიცვას საერთაშორისო კონფლიქტში რუსეთის ჩარევის შემდეგაც კი“. შემდეგ მან განაცხადა, რომ „სტუმართმოყვარეობას გაუწევს პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურს და მინისტრებს“. რუმინეთის მთავრობა, ნათქვამია დასასრულს, იზრუნებს თავისი საზღვრების უშიშროების შესახებ.

## ყუმბარის აფეთქება გერმანიის ავიაციის სამინისტროში

**ლონდონი**, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კოპენჰაგენელი კორესპონდენტი იუწყება, ბერლინში, ალბათ, ყუმბარის აფეთქების გამო განადგურდა ავიაციის სამინისტროს შენობის შესავალი ლაიპციგერშტრასეზე. სამინისტროს შენობის მთავარ ქუჩაში გამავალი ყველა ფანჯარა და აგრეთვე სამინისტროს შენობის პირდაპირ მდებარე მაღაზიებისა და საწყობების ფანჯრები დამსხვრეულია.

## ახალი დეკრეტი რუმინეთში

**პარიზი**, 18 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ბუქარესტში გამოქვეყნდა დეკრეტი რუმინეთის მეურნეობის „საომარი მზადყოფნის მდგომარეობაში“ მოყვანის შესახებ. შემოღებულია მთავრობის სასტიკი კონტროლი რუმინეთის საგარეო ვაჭრობაზე. მთავრობას შეუძლია აკრძალოს ყოველგვარი ისეთი პროდუქტის გატანა რუმინეთიდან, რომელიც საჭიროა თავდაცვისათვის.

## პოლონეთის მთავრობის ჩასვლა რუმინეთში

**ლონდონი**, 18 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პოლონეთის მთავრობის წევრებთან ერთად რუმინეთში ჩავიდა.

## პოლონეთის თვითმფრინავები რუმინეთში

**ლონდონი**, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუწყებიან, 17 სექტემბრის დილიდან მოკიდებული პოლონეთის 500 თვითმფრინავი გადაფრინდა რუმინეთის საზღვარზე.

## ამხ. ვოდოპიანოვი გორში

**გორი**, 19 სექტემბერი (ტელეფ. „კომუნისტის“ კორ.). დღეს დილით თბილისიდან გორში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. **მ. ვოდოპიანოვი**.

ამხ. ვოდოპიანოვს თან ჩამოჰყვა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. სალაძე.

ამხ. სალაძესთან და საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივან ამხ. ვ. ლოლაძესთან ერთად ამხ. ვოდოპიანოვმა დაათვალიერა სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მშრომელი კაცობრიობის დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა**.

იმავე დღეს სტუმრები გორიდან გაემგზავრნენ.

## ფილმი სტეფანე შაუმიანზე

რეჟისორები ორდენოსანი ა. ბეკ-ნაზაროვი და ი. დუკორი ემზადებიან დიდი ისტორიულ-რევოლუციური ფილმის „სტეფანე შაუმიანის“ დასადგმელად (სცენარი ვ. შკლოვსკისა და ი. ალტმანისა). ისინი გაემგზავრნენ ბაქოში, სადაც სწავლობენ ბაქოს კომუნის პერიოდის ისტორიულ საარქივო მასალებს.

სურათი გვიჩვენებს ბაქოს კომუნის ხელმძღვანელს, დიდი სტალინის ერთერთ უახლოეს თანამებრძოლს, შეუდრეკელ ბოლშევიკ სტეფანე შაუმიანს.

სურათის პირველ კადრებში მაყურებელი ნახავს შაუმიანის შეხვედრას ლენინთან და სტალინთან პეტროგრადში საბჭოების სრულიად-რუსეთის ყრილობაზე. მთავარ მომქმედ პირებს შორის არიან ნ. აზიზბეკოვი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვი და ბაქოს კომუნის სხვა ხელმძღვანელები.

ფილმს საერთო ძალღონით დასდგამენ ბაქოს და ერევნის სტუდიები. ძირითადი ეპიზოდები განზრახულია გადაღებულ იქნას ბაქოში. განზრახულია აგრეთვე დამდგმელი კოლექტივის ექსპედიციები ლენინგრადში, თბილისსა და კრასნოდარში. **(გაზ. „კინო“).**

## ვ. მიხაილოვი სსრ კავშირის ჩემპიონი კრივში

18 სექტემბერს მოსკოვში მ. გორკის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე გაიმართა გასული წლის კრივის აბსოლუტური ჩემპიონის მძიმე წონის ნ. კოროლიოვისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის, ორდენოსანი ვ. მიხაილოვის (ნახევრადმძიმე წონა) მატჩი სსრ კავშირის აბსოლუტურ პირველობაზე. მოსკოვიდან მიღებული ცნობით მატჩში გაიმარჯვა ვ. მიხაილოვმა, რომელსაც მიენიჭა 1939 წლის სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდება.

## სასამართლო

## სპეკულანტს საკადრისი მიეზღო

გარკვეული პროფესიის არამქონე, „ბედის მაძიებელი“ პეტრე ივანეს-ძე ვოდოლაგინი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა სპეკულაციას ლურსმნითა და სხვა ძვირფასი სამშენებლო მასალით, ის ხშირად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, კიევში, ხარკოვში და სხვ. საიდანაც ჩამოჰქონდა აღნიშნული საქონელი თბილისში და ეწეოდა სპეკულაციას.

ვოდოლაგინი შეიპყრეს, მას 65 კილოგრამი ლურსმანი და სხვადასხვა სამშენებლო მასალა უპოვნეს. სპეკულანტი სამართალში მისცეს სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლის ძალით.

19 სექტემბერს მისი საქმე საჯარო საჩვენებელი პროცესით გაარჩია თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. კაკალოვის თავმჯდომარეობით, სახელმწიფო ბრალმდებლის პროკურორის ამხ. გოგოლაძის, და დამცველის ამხ. კალანდაძის მონაწილეობით. პროცესს დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

პროცესზე სავსებით დადასტურდა ვოდოლაგინისათვის წაყენებული ყველა ბრალდება.

ამავე დღეს გამოტანილ იქნა განაჩენი, რომლის თანახმად სპეკულანტ პ. ი. ვოდოლაგინს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით და სასპეკულაციო საქონლისა და პირადი ქონების კონფისკაციით.

მ. სურგულაძე



კაფე-სასადილოს პავილიონი გორის ბაღში

ფოტო რ. აკოფოვისა

### საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატში

## თათბირი სპეკულაციასთან ბრძოლის საკითხებზე

ამ დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატში, სახალხო კომისრის ამხ. ა. ჩხეტიანის თავმჯდომარეობით ჩატარდა თბილისის რაიონების სახალხო მოსამართლეთა გაფართოებული თათბირი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრებთან და უბნის სახალხო სასამართლოებზე მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად.

თათბირმა მოისმინა ამხ. ჩხეტიანის ინფორმაცია სპეკულაციასთან ბრძოლის საკითხებზე.

ამხ. ჩხეტიანი შეეხო ახლანდელ ვითარებაში სპეკულაციასთან ბრძოლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებით უბნის სახალხო სასამართლოების ამოცანებს.

თათბირზე გამოირკვა, რომ მთელი რიგი სახალხო მოსამართლეები გულგრილად ეკიდებიან სპეკულაციის საქმეების გარჩევას, ხშირად ლმობიერი განაჩენი გამოაქვთ, ზოგჯერ კი დიდი ხნით აჭიანურებენ საქმეების გარჩევას და სხვ.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი სპეკულაციასთან საბრძოლველად. სახალხო მოსამართლეებს წინადადება მიეცათ ზუსტად გაატარონ კანონით გათვალისწინებული ზომები სპეკულანტების მიმართ, რაც გარდა თავისუფლების აღკვეთითი ზომისა, ითვალისწინებს აგრეთვე მათი ქონების კონფისკაციას.

სპეკულანტებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ფართო საზოგადოებრივი აზრის დასარაზმავად თათბირმა მითითება მისცა უბნის სახალხო მოსამართლეებს, რათა სპეკულანტების საქმეს გარჩევა მოაწყონ საჯარო საჩვენებელი პროცესით. სპეკულანტებთან ერთად პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული აგრეთვე მათი ხელისშემწყობნი. სპეკულანტის მსგავსად დაისჯება მაღაზიის ის გამგე ან გამყიდველი, რომელიც დახმარებას გაუწევს სპეკულანტურ ელემენტებს ანგარების მიზნით ზედმეტი საქონლის მიცემით.

საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. ჩხეტიანის ბრძანებით კომისარიატის მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგები მიმაგრებული არიან სახალხო სასამართლოების უბნებზე, სპეკულაციის საქმეების გარჩევის დროს შემჩნეულ დამახინჯებათა ადგილზევე გამოსასწორებლად.

ამავე საკითხებზე მოსამართლეების ყურადღება გაამახვილა თათბირზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ჯავახიამ.

## 60 წელი

1850 წლის 2 იანვარს (ძვ. სტ.) თბილისის გიმნაზიის სცენაზე დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა“. ამით ჩაეყარა საძირკველი პირველ ქართულ თეატრს, რომლის სულისჩამდგმელი იყო გიორგი ერისთავი. ქართული თეატრის ირგვლივ თავს იყრიან ნიჭიერი მსახიობები და დრამატურგები. „გაყრას“ მოჰყვა „დავა“, შემდეგ „ძუნწი“. გორელი ზურაბ ანტონოვი სწერს პიესებს ახალგაზრდა ქართული თეატრისათვის და ჰქმნის შესანიშნავ კომედიას „მზის დაბნელება საქართველოში“. სხვადასხვა ენებიდან ქართულად გადმოითარგმნა და გადმოკეთდა ბევრი პიესა.

პირველ ხანებში ქართული თეატრის საქმე კარგად მიდიოდა. მაგრამ თეატრის არსებობა ხანმოკლე გამოდგა. ადგილობრივი ბიუროკრატიული მთავრობა, რომელიც სდევნიდა ყოველივე ქართულს და ატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ვერ შეურიგდა ქართული თეატრის არსებობას და ყოველგვარი ზომები მიიღო მის მოსასპობად. ქართულ დასს მოუსპეს სუბსიდია, აუკრძალეს წარმოდგენების მართვა ახლადაგებულ თეატრში (მანთაშევის ქარვასლაში). ამას ზედ დაერთო ნიჭიერი დრამატურგისა და მსახიობის ზურაბ ანტონოვის სიკვდილი (1854 წელი) და 1854-1855 წ. სეზონის დამთავრების შემდეგ ქართულმა თეატრმა არსებობა შესწყვიტა.

ამის შემდეგ იყო ქართული თეატრის აღდგენის ცდები. ივანე კერესელიძის თაოსნობით შესდგა ამხანაგობა, რომელმაც ხელი მოჰკიდა წარმოდგენების მართვას, მაგრამ ეს ამხანაგობაც მალე დაიშალა. ათასში ერთხელ თუ გაიმართებოდა კერძო ოჯახში ქართული წარმოდგენა.

დაწყებული 1855 წლიდან, როცა არსებობა შესწყვიტა პირველმა ქართულმა თეატრმა, 24 წლის განმავლობაში ქართული თეატრი არ არსებობდა; მოთხოვნილება კი დიდი იყო. მოწინავე ინტელიგენციაში თანდათან მტკიცდებოდა შეგნება, რომ აუცილებელია მუდმივი თეატრის შექმნა, რომ არ შეიძლება დაკმაყოფილება კანტიკუნტად აქა-იქ გამართული წარმოდგენებით.

1878 წლიდან დაიწყო გულმოდგინე მუშაობა ქართული მუდმივი თეატრის ჩამოსაყალიბებლად. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, ნიკო ავალიშვილი, იოსებ ბაქრაძე, ალ. სარაჯიშვილი და სხვ. ამ პირთაგან შესდგა კომიტეტი, რომელსაც უნდა გამოემუშავებინა მომავალი თეატრის წესდება და გამოენახა თანხები. კომიტეტმა მუშაობას ბეჯითად მოჰკიდა ხელი და დაწყებული საქმე კეთილად დააგვირგვინა.

ახალგაზრდა თეატრის ირგვლივ თავი მოიყარეს შესანიშნავმა მსახიობებმა: მაკო საფაროვამ, ნატო გაბუნიამ, ბაბო კორინთელმა, მაშო ყიფიანმა, ვასო აბაშიძემ, კოტე ყიფიანმა. დასში იყვნენ აგრეთვე ზაალ მაჩაბელი, ნოდარ ჯორჯაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ავქსენტი ცაგარელი.

სეზონის გახსნა დაინიშნა 1879 წლის შემოდგომისათვის. 1879 წლის გაზაფხულისათვის დასი უკვე მზად იყო და მეთაურებმა გადასწყვიტეს ზაფხულის პერიოდი გამოეყენებინათ საგასტროლო მოგზაურობისათვის საქართველოში.

დასი პირველად ესტუმრა გორს, შემდეგ ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, აბასთუმანს, ახალციხეს. დასის მიერ გამართულ წარმოდგენებს ხალხი ყველგან უდიდესი აღტაცებით ხვდებოდა, და ამ გულთბილი შეხვედრით გამხნევებული მსახიობები დაბრუნდნენ თბილისს და შეუდგნენ მზადებას პირველი სეზონისათვის.

მუდმივი ქართული დასის პირველი წარმოდგენა გაიმართა ამ 60 წლის წინათ—1879 წლის 18 (5) სექტემბერს. ამის შესახებ ავქსენტი ცაგარელი თავის მოგონებაში სწერს:

„მოახლოვდა სეზონის დაწყების დრო და ჩვენც მოვიყარეთ თავი თეატრის დარბაზში. მაშინ „საზაფხულო თეატრს“ ეძახდნენ, მტკვრის პირზე რომ თეატრი იყო—ასაკვირველია ყველას კარგად ეხსომება... აქ დავიწყეთ წარმოდგენების მართვა და განვაგრძეთ, ვიდრე აწ განსვენებული გრიგოლ არწრუნი თავის ქარვასლაში თეატრს გააკეთებდა*).

სეზონი გაიხსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედიით „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. მუდმივ ქართულ თეატრს მტკიცე საძირკველი ჩაეყარა

ელ. ხუციშვილი.

---

*) დღევანდელი გრიბოედოვის სახ. თეატრის შენობა კომინტერნის ქუჩაზე.

## ახალი სეზონი რუსთაველის თეატრში

დღეს შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“ რუსთაველის თეატრი ხსნის 1939-40 წლის სეზონს.

მიმდინარე წელს თეატრის სამუშაო გეგმაში შეტანილია ახალი პიესები თანამედროვე ცხოვრებიდან—გ. მდივნის „დეპუტატი“, ს. კლდიაშვილის—„ხვალ თუ ომი იქნება“, შ. დადიანის — „ხალხთა გმირობა“.

ამ სეზონის პირველ პრემიერად თეატრი უჩვენებს შ. დადიანის ცნობილ კომედიას — „გუშინდელნი“ რეჟ. ქ. პატარიძის დადგმით, ი. გამრეკელის მხატვრული და შ. მშველიძის მუსიკალური გაფორმებით.

გასული წლის რეპერტუარიდან გარდა შ. დადიანის პიესისა—„ნაპერწკლიდან“ აღდგენილი იქნება. ს. შანშიაშვილის — „არსენა“ და „ანზორი“, ნ. შიუკაშვილის—„სულელი“, ს. კლდიაშვილის — „შემოდგომის აზნაურები“ და „გმირთა თაობა“, ს. მთვარაძის — „უღელტეხილზე“, ნ. პოგოდინის—„თოფიანი კაცი“, ოსტროვსკის — „უდანაშაულო დამნაშავენი“, შექსპირის—„ოტელო“ და შილერის — „ყაჩაღები“.

თეატრს თავის რეპერტუარში შეტანილი აქვს აგრეთვე ა. კორნეიჩუკის ცნობილი პიესა „ბოგდან ხმელნიცკი“, რომელიც წელს იქნება ნაჩვენები.

მომავალი 1940-41 წლის სეზონისათვის თეატრს განზრახული აქვს მოამზადოს— ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“, რომენ როლანის „რობესპიერი“ და უ. შექსპირის „მეფე ლირი“.

### ფეხბურთი

## თბილისისა და კიევის „დინამოს“ მატჩი

18 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა თბილისისა და კიევის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

მატჩი ფრედ (2:2) დამთავრდა.

პირველი ბურთი თბილისელებმა გაიტანეს. სტუმრების კართან შექმნილი კრიტიკული მომენტი კარგად გამოიყენა ბერეჟნოიმ. მან ხელიდან წაართვა ბურთი მეკარეს და ხარბედიამ დაუცველ კარში გაიტანა იგი.

რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისელებმა საპასუხო ბურთი მიიღეს.

მეორე ტაიმში პაიჭაძემ მეორედ გაარღვია სტუმრების კარი. ამის შემდეგ თამაშის ვითარება ისე მიმდინარეობდა, რომ გამარჯვება თბილისელებისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაგუამ უხეში შეცდომა დაუშვა. მან ბურთი წაართვა კართან მიჭრილ მარჯვენა გარემარბ გონჩარენკოს და გადასცა საუკეთესო პოზიციაზე მდგომ შილოვსკის, რომელმაც თავისუფლად გაიტანა იგი თბილისის კარში. ამის შემდეგ შედეგი აღარ შეცვლილა.

თ. ფურცელაძე.

○

მოსკოვის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩი 18 სექტემბერს ფრედ (1:1) დამთავრდა.

○

მოსკოვის „მეტალურგმა“ სტალინოში მოუგო „სტახანოვეცს“ (სტალინო) ანგარიშით 3:2.

○

სტალინგრადის „ტრაქტორისა“ და ოდესის „დინამოს“ შეხვედრა სტალინგრადში პირველის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა (6:0).

○

ლენინგრადის „სტალინეცისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩი ლენინგრადში ფრედ (2:2) დამთავრდა.

○

17 სექტემბერს ლენინგრადში მოსკოვის „ტორპედომ“ მოუგო ლენინგრადის „დინამოს“ (4:1).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ.** — მთის მარში, ოქტომბერი—შემთხვევა პატარა სადგურზე, დამკვრელი (საზაფხ.)—დედა, დამკვრელი (საზამთრ.)—ცამეტნი, კომკავშირელი (საზაფხ.) — ვაჟკაცობა, კომკავშირელი (ზამთრ.)—ტანკისტები, სპარტაკი — უკანასკნელი ღამე, **რ. ლუქსემბურგის სახ.**—ესკადრილია № 5, **26 კომ. სახ.**—არსენა, **კომინტერნი**—მხედრები, **ს. ორჯონიკიძის სახ. ქ. დ. ც. პ.** — უკანასკნელი მასკარადი, **ახალი ამბები**—ბელადის სამშობლოში, ბედნიერი ბავშვობა, ტანკისტი კოზლოვი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)

საზაფხულო თეატრი
20 სექტემბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 114
პრემიერა
პატარძლების ბაზრობა
მუს. კომ. 3 მოქმ.
21, 22 სექტემბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 115, 116
პრემიერა
პერიკოლა მუს. კომ. 4 მოქმ.
სამხ. ხელმძღვ. ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სალარო ღიაა დილის 11-დან 3 ს-მდე
საღ. 6-დან 11ს-მდე.

დახურულ დარბაზში
20 სექტემბრიდან
ყვავილის ყაზახები
სწარმოებს ბილეთების შეძენა
კოლექტიურად დასწრებაზე.
ღია ესტრადა
21, 22 სექტემბერს
ხმოვანი კინოფილმი
დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

| 20/IX | 21/IX | 22/IX |
|---|---|---|
| მუდმ. ადგ. ტალონი № 1 | მუდმ. ადგ. ტალონი № 2 | მუდმ. ადგ. ტალონი № 3 |
| ნაპერწკლიდან | ნაპერწკლიდან | არსენა |

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და
ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

აბონემენტების გაცემა 1939—1940 წ. სეზონისათვის
სწარმოებს ყოველდღე სააბონემენტო სალაროში
დღის 12—4 ს. და საღ. $6^1/_2$—$8^1/_2$ ს.
განაცხადთა მიღების უკანასკნელი ვადა—25 სექტემბერი.
დირექცია.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი
აწარმოებს **დამატებით მიღებას** ყველა ფაკულტეტზე:

1) იმ პირებისა, რომელთაც წელს საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჩააბარეს მისაღები გამოცდები, მაგრამ არ იქნენ ჩარიცხული კონკურსის გამო;
2) უმაღლესი სკოლის გარეთ დარჩენილი ფრიადოსნებისა.
3. იმ პირებმა რომელთაც მიმდინარე წელს მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში ერთ ან ორ საგანში მიიღეს არადამაკმაყოფილებელი ნიშანი, უნდა ჩააბარონ გამოცდები სათანადო საგნებში.
4. ინსტიტუტში შესვლის ყველა დანარჩენი მსურველი აბარებს მისაღებ გამოცდებს საერთო წესით.

განცხადებების მიღება სწარმოებს ა. წ. 19 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ყოველდღე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 25 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე.

ინსტიტუტში სტუდენტად ჩარიცხვა 11-დან 15 ოქტომბრამდე.

აბიტურიენტი ვაჟები, რომელთაც სურთ ინდუსტრიულ ინსტიტუტში შესვლა, ვალდებულნი არიან თავიანთი სამხედრო საბუთები გასასინჯად წარუდგინონ ინსტიტუტის სამხედრო აღრიცხვის გამგეს ამხ. კიკვიძეს

1175 ს. ი. დირექტორი ა. ბოჯგუა.

განათლების სახალხო კომისარიატის სკოლამდელი აღზრდის სამმართველო მიმდინარე წლის 21, 22 და 23 სექტემბერს აწყობს სკოლამდელ ინსპექტორთა და სკოლამდელი

მეთოდ-კაბინეტების გამგეების რესპუბლიკურ თათბირს

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. განსახკომის სკოლამდელი სამმართველოს მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში და მომავალი წლის პერსპექტივები.
3. საბავშვო ბაღების აღმზრდელთა როლი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადება-ჩატარებაში.
4. საბავშვო ბაღების აღმზრდელობითი მუშაობისა და მეთოდური ხელმძღვანელობის შესახებ.
5. საბავშვო ბაღი და ოჯახი.

განათლების სახ. კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.
376 სკოლამდელი სამმართველოს უფროსი რატიანი.

მეუღლე ნინო, შვილები დათიკო, მიშა, ლადო, ვანო, მარო, თინა, რძლები ფაქიზო, შურა, სიძე პავლე რუხაძე იუწყებიან
**იასონ თომას-ძე ბახტაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/IX ქ. წულუკიძეში. 3163

საქსახესტრადის ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან ლეო ესაკიას დედის
**ნადეჟდა ჩიქოვანი-ესაკიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/IX პეროვის, 21. 1350

მამა გიორგი, ბებია მარიამ, მამიდები შუშანა, ლიუბა, ბიცოლა ფაცია, ბიძა პარმენ, ბიძაშვილები ლილი, კუკური ვაშაკიძეები იუწყებიან პატარა
**კუსიკოს (რობერტი)**
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/IX 5 ს. ორჯონიკიძის, 80. კუკიის სასაფლაოზე. 3159

წყალთა მეურნეობის თანამშრომლები ზერეკიძე, გუნია, ტებლოევი, ცერცვაძე, ჩხეიძე, ახვლედიანი, პერტაია, ადამია, რამიშვილი, რატიანი, ქაშაკაშვილი, იტრიევი, ფაშტიანი იუწყებიან შალიკო ყიასაშვილის მამის
**ივანეს**
გარდაცვალებას. 3160

შვილი კლავდია, სიძე ნიკოლოზ, შვილიშვილები ზოია, იური ლალიაშვილები იუწყებიან ძვირფას
**ელისაბედ დიმიტრის-ასულ ივანოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/IX 7 ს. ფალიაშვილის, 23. (ვაკე). გამოსვენება 21/IX 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. 3161

ბებია მინადორა, ბაბუა ლევანტი, დეიდა ქეთო, ბიძა სამუელ კობახიძეები იუწყებიან ძვირფას პატარა
**კუსას (რობერტი)**
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/IX 5 ს. ორჯონიკიძის, 80 კუკიის სასაფლაოზე. 3159

დედა ანასტასი, ძმა პიროსი, რძალი ვერა, დები ნადეჟდა, მარიამ, ანნეტა ნიკოლეიშვილები, სიძეები ვლ. ჯოჯუა, პ. თევზაძე, შ. ბერეკაშვილი, ა. თავაძე შვილებით იუწყებიან
**კარლო რევაზის-ძე ნიკოლეიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა გომში. 3164

დედა მინადორა, დიდედა და პაპა, ბიძა მელქისედეგ ივანიძე ცოლშვილით, დები ნუნუ, თამარ ქმრით შალვა ნინიაშვილით იუწყებიან საყვარელ
**თინიკო გედევანიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/IX 4½ ს. გოგებაშვილის, 10. 3165

ბიძა ლადო მეუღლით, ბიძაშვილები რუსუდან, თემო, რამინ, მამიდა ელენე კალანდარიშვილი შვილით, ბებია ეფემია იუწყებიან საყვარელ
**თინა ირაკლის-ასულ გედევანიშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება გოგებაშვილის, 10. 3166

სახუნტის ორგანიული ქიმიის კათედრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამავე კათედრის თანამშრომლის თამარის მამის
**ივანე დავითის-ძე უიასაშვილის**
გარდაცვალებას. 3169

ნინო ჩხეიძე, მიხეილ ხატიაშვილი და გიორგი ჰალაგანიძე იუწყებიან მეგობრის ბაბო ესაკიას საყვარელი დედის
**ნადია სიმონის-ასულ ესაკიას**
გარდაცვალებას. 3169

საქ. მთავლიტის თანამშრომლები იუწყებიან მთავლიტის უფროს ამხ. სერგო ებრალიძის სიდედრის
**ნადია სიმონის-ასულ ჩიქოვანი-ესაკიას**
გარდაცვალებას. 3170

შვილი ნატაშა მაქსიმეს-ასული პაჭკორია, შვილიშვილები თინა და ელენა შენგელაიები იუწყებიან
**ნინო გიორგის-ასულ ბედია-პაჭკორიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/IX ს. ხორგაში. 3162

საქსახესტრადის დირექცია, ადგილკომი იუწყებიან საქსახესტრადის თანამშრომელ ს. ს. სარუხანოვის დედის
**შუშანიკ არტემის-ასულ სარუხანოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/IX 7 ს. გამოსვენება 21/IX 5 ს. წერეთლის, 8 (ყ. კოტლიარევსკის) ავლაბარი). 1350

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-გ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—631